ადრეული განათლება

N1,2023

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ადრეული განათლება

N1,2023

გამომცემელი –
მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ეთერ ღვინერია
ხათუნა დოლიძე
თამარ საღინაძე
მანჩო ჩქარეული
ნატო ფანჩულიძე

მთავარი რედაქტორი
ნინო ლაბარტყავა

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი 0186,
ზურაბ ანჯაფარიძის
I შესახვევი, N6
ელფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

2 რედაქტორის სიტყვა

სკოლამდელი განათლების მართვა და ორგანიზება

თამარ თოდორია
4 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა სკოლამდელი განათლების მიმართულებით

ნინო ლაბარტყავა
10 მასწავლებლებთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა აღრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით

ნინო ხითარიშვილი
14 ავტორიზაციის სისტემის დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში

აღრეული განათლების მეთოდოლოგია

თამარ შრანელიშვილი
18 თამაში

თამარა ჩაჭვეტაძე
21 ბუნებრივეს ტყის ბაღი - გარე განათლების დაბრუნება ბავშვთა განვითარებაში

ეთერ ღვინერია, მარიამ შონია
25 განვითარების დონის შესაბამისი სწავლება - მოკლე ისტორია და მახასიათებლები

საერთაშორისო გამოცდილება და აღრეული განათლების სფეროს მხარდამჭერი ორგანიზაციები

30 ინტერვიუ ქალბატონ თამარ სანიკიძესთან - პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)" ალმასრულებელ დირექტორთან

34 ORAC GEORGIA-ს მხარდაჭერა აღრეული ინკლუზიური განათლების მიმართულებით

რეგიონული გამოცდილება

ხათუნა ბოლქვაძე
38 ფიზიკური გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში

45 პრაქტიკით სწავლების მნიშვნელობა აღრეულ განათლებაში

ლუიზა ბერიძე
46 ლია მასალების გამოყენება

მერანდა სურმანიძე
48 პროექტის მეთოდი აღრეულ განათლებაში

ირინა შარიძაძე
50 ცვლილებები ჩემს ბაღში

მაკა ფალავანდიშვილი
52 სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება

55 ინტერვიუ ქალბატონ ნინო ბენდელიანთან, ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორთან

ჟურნალი ადრეული განათლების მიმართულებით საქართველოში პირველად გამოდის, რაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედაქციისთვის უდიდესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა.

პასუხისმგებლობაა, ეცადო მიიტანო საზოგადოებამდე ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა, ადრეული ასაკის თავისებურებები, სფეროში არსებული სიახლეები და დიდი გამოწვევები. ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა, ბუნებრივია, განპირობებულია თავად ადრეული ასაკის განსაკუთრებულობით. კვლევები განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში ცხადყოფს, რომ ადრეული ასაკი ბავშვის განვითარების ყველა სფეროს – ფიზიკური, შემეცნებითი, ენისა და მეტყველების, სოციალურ - ემოციური განვითარებისთვის სენსიტიური პერიოდია. სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებასა და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში.

აღნიშნული ჟურნალი განკუთვნილი იქნება მათთვის, ვინც მხარს უჭერს და უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას, იქნებიან ეს მუნიციპალიტეტების მერიის შესაბამისი იურიდიული სამსახურების, თუ ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები, ასევე, საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველების – საბავშვო ბაღების მენეჯერების, პროგრამების კოორდინატორების, საგანმანათლებლო პერსონალისა თუ უბრალოდ, ადრეული და სკოლამდელი განათლების საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

ბევრი ფიქრის, შრომისა და დიდი პასუხისმგებლობით გამოწვეული მღელვარების შემდგომ გადავწყვიტეთ, რომ პირველი ნომერი ოთხ მსხვილ რუბრიკას მოიცავდეს – სკოლამდელი განათლების მართვასა და ორგანიზებას, მეთოდოლოგიას, საერთაშორისო პარტნიორობასა და ადგილობრივ პრაქტიკას.

ჟურნალის პირველ რუბრიკაში გაეცნობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს; კერძოდ კი იმ ნაბიჯებს, რომლებიც იდგმება საქართველოს კანონის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების აღსრულების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან.

მეორე რუბრიკისთვის სტატიების შერჩევა და რედაქტირება განსაკუთებით სასიამოვნო აღმოჩნდა. აქ თქვენ წაიკითხავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მოწვეული ლექტორის, „საქართველოს პორტიჯის ასოციაციის“ ადრეული განვითარების სპეციალისტის თამარ უჩანეიშვილის სტატიას თამაშის მნიშვნელობისა და მისი მახასიათებლების შესახებ, ტყის ბაღის პროექტის ხელმძღვანელის თამარა ჩაკვეტაძის სტატიას ტყის ბაღისა და გარე განათლების მნიშვნელობის შესახებ ბავშვის განვითარების საქმეში, ამავე ბლოკში გაეცნობით ინფორმაციას თუ რას ნიშნავს განვითარების დონის შესაბამისი სწავლება, რომლის ავტორებიც არიან ეთერ ღვინერია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი“ პროფესორი მარიამ შონია.

მესამე რუბრიკა საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობისა და წვლილის შესახებ გვიამბობს. აღნიშნულ ბლოკში წაიკითხავთ ინტერვიუს პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (IBRD)“ აღმასრულებელ დირექტორთან თამარ სანიკიძესთან, გაეცნობით თუ რა საქმიანობები განხორციელდება სკოლამდელი განათლების მიმართულებით. აგრეთვე, ამავე ბლოკში გაეცნობით, MAC Georgia-ს საქმიანობას ადრეული ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

მეოთხე რუბრიკაში წარმოდგენილი სტატიები ადრეული განათლების საკითხებით დაინტერესებულ

პირებს ოპტიმისტურ განწყობას უქმნის და აწვდის ინფორმაციას საქართველოში არსებული კარგი პრაქტიკის შესახებ. აქწაიკითხავთ თუროგორ მიმდინარეობს სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა პრაქტიკოსების პროფესიული განვითარების გზით“ ფარგლებში დაბა ხულოს საბავშვო ბაღის მაგალითზე. სტატიის ავტორი აღნიშნული საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი ხათუნა ბოლქვაძე გახლავთ, იგი საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს თუროგორი ტიპის რესურსები და საქმიანობები არის მომხიბვლელი 2-3 წლიანი ბავშვებისთვის და რამდენად მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობა პატარების პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისათვის. ამავე რუბრიკაში შეხვდებით სტატიას ადრეულ განათლებაში პრაქტიკაში სწავლების მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნულ სტატიაში 4 სხვადასხვა საბავშვო ბაღის აღმზრდელი მოგვითხრობს თურა ცვლილებები განახორციელეს ჯგუფში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების ქოუჩინგის პროცესში. აღნიშნული ნომრის სიახლე კი გახლავთ ინტერვიუ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორ ნინო ბენდელიანთან, რომელიც საუბრობს მუნიციპალიტეტში განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში გაჩნდა პირველად აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია, რაც, ვფიქრობთ, სამაგალითო იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც.

რაც შეეხება ჟურნალზე მომუშავე ჯგუფს, მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილნი არიან როგორც ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და ქვეპროგრამის თანამშრომლები, ისე მოწვეული ექსპერტები. კერძოდ,

- **თამარ თოლორაია** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი;
- **ეთერ ღვინერია** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;
- **ხათუნა დოლიძე** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ადრეული ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი.
- **თამარ საღინაძე** – ადრეული განათლების ექსპერტი, ცენტრის ქვეპროგრამის კონსულტანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ტრენერი;
- **მანჩო ჩქარეული** – ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამის კოორდინატორი, ტრენერი;
- **ნატო ფანჩულიძე** – ექსპერტი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ადრეული განათლების პოლიტიკის მიმართულებით.

სიტყვის დასასრულს კი მინდა მადლობა გადავუხადო ცენტრის დირექტორს ბატონ ბერიკა შუკაკიძეს ჟურნალის შექმნის იდეის, ჩვენი გუნდის მხარდაჭერისა და მოტივირებისთვის, თითოეული სტატიის ავტორსა და ჟურნალზე მომუშავე თითოეულ პროფესიონალს. ვფქირობთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სტატიები მცირედ წვლილს მაინც შეიტანს ადრეული განათლების მნიშვნელობისა და საჭიროებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში.

პატივისცემით,

ნინო ლაბარტყავა
ჟურნალის რედაქტორი

თამარ თოდორაძე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს ხელმძღვანელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა სკოლამდელი განათლების მიმართულებით

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ახალი ჟურნალი „სკოლამდელი განათლება“ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ სკოლამდელი განათლების საკითხები კიდევ უფრო მისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული პირისთვის. ეს წამოწყება ნამდვილად წაადგება საზოგადოების მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებისა და მიმდინარეობის პროცესში. აღნიშნული ჟურნალი, „განათლების E სახლთან“ ერთად, ქმნის აზრთა თავისუფლად გაზიარებისა და საინტერესო ინიციატივების შეთავაზების ფუნქციას.

დღეს ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვა და ბავშვთა უფლებების დაცვა სცდება ნაციონალურ საზღვრებს და ქვეყნებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემაში ღირსეულად მონაწილეობისთვის აუცილებელი წინაპირობაა. განათლების უფლების დაცვა კი ნიშნავს შესაძლებლობების გათანაბრებისთვის მაკომპენსირებელ სისტემურ ქმედებებს, რომლებსაც სახელმწიფოსგან ელიან განსხვავებული მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირები. ადრეული და სკოლამდელი განათლების დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა თანხვედრაშია თანამედროვე საერთაშორისო ხედვასთან და ბავშვის უფლებათა კონვენციასთან და, ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში დეკლარირებული პრინციპების დაცვით, იზიარებს ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობას. იმისათვის, რომ ეს მიდგომა აისახოს თითოეული ინდივიდისთვის მიწოდებულ მომსახურებაში, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებში და იქცეს საყოველთაო სიკეთედ, საჭიროა საზოგადოების გაერთიანებული ძალისხმევა. სწორედ ამ საზოგადოების ნაწილია სკოლამდელი განათლების სამმართველო, რომელიც მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი განათლების პოლიტიკას ქვეყანაში. ამიტომაც, მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშგების ვალდებულებით, მკითხველს მოკლედ გავაცნობ ჩვენს საქმიანობას.

სკოლამდელი განათლების სამმართველო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულია და მისი მოვალეობა და კომპეტენციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №05/ნ ბრძანებით განისაზღვრება. სამმართველოში დასაქმებული პირები იკავებენ პირველი და მეორე კატეგორიის სპეციალისტების თანამდებობებს, დროებით ამოცანათა შესასრულებლად კი ვთანამშრომლობთ

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან. მიმდინარე სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტები იცვლებიან და ყოველ მათგანს აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. საქმიანობა მოიცავს: სკოლამდელი განათლების პოლიტიკის განსაზღვრას, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას, სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების განვითარებას და დანერგვის ხელშეწყობას; კვლევების ჩატარებას; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კონსულტირებას; მშობელთა ცნობიერების ამაღლებას ადრეულ განათლებაზე; მეთოდოლოგიური და სასწავლო რესურსების შექმნას, პილოტირებას და დანერგვას; ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირების ხელშემწყობი პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერას; საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების ორგანიზებას; საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობას; მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას, რათა ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე თანაბარი მისაწვდომობა გაუმჯობესდეს. სამმართველოს თანამშრომლები, კომპეტენციის ფარგლებში, განსახილველად ვინაწილებთ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, ცალკეული მოქალაქეების განცხადებებსა და წერილებს და ვრეაგირებთ მათ ინტერესებსა და შეკითხვებზე. გარდა ამისა, ვმუშაობთ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე, ვართ ანგარიშვალდებული სამინისტროს ზემდგომი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და, ზოგადად, საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე. ამისთვის ვაწყობთ შეხვედრებს პირისპირ და დისტანციური ფორმატში და ვიწვევთ დარგის ექპერტებს ვებინარების ჩასაწერად. ეს არის ძირითადი ჩამონათვალი სკოლამდელი განათლების სამმართველოს საქმიანობისა. ასევე, აქტუალურია ყოველდღიური რუტინა, დეტალები, რომლებიც გუნდმა შეიძლება მნიშვნელოვან შესაძლებლობად აქციოს. რომ შევაჯამოთ, სამმართველო მონაწილეობს სკოლამდელი განათლების პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში, ასრულებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.

ხშირად აღგვინიშნავს, რომ ვუსმენთ ყველას და ვთანამშრომლობთ პროფესიული ნიშნით გამორჩეულ პირებთან, ორგანიზაციებთან, რომლებსაც ღირებული წვლილი აქვთ შეტანილი ადრეული განათლების განვითარების მიმართულებით. აქ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ პერსონალს პირველ რიგში გამოვყოფდი. გარდა წლების განმავლობაში დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილებისა, მათ აქვთ ახალი ცოდნის შექმნის უსაზღვრო შესაძლებლობა. ამის საშუალებას თავად უნივერსიტეტის იდეა იძლევა: მუდმივი კვლევა, სკოლამდელი განათლების საზოგადოებასთან და საერთაშორისო ექპერტ-კოლეგებთან ინტერაქცია, სტუდენტების მიერ აზროვნების პროცესში მოტანილი ახალი იდეები და ცოდნა. ყოველივე ეს მუდმივად განახლებადი ცოდნის გაზიარების და საგანმანათლებლო რესურსებსა თუ სწავლა-სწავლების პროცესში მათი ინტეგრირების წყაროა. ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებით, ფასდაუდებელ პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლების განმავლობაში, მათი დამსახურებით შენარჩუნდა და გამრავალფეროვნდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისები. საუბარია იმ წლებზე, როცა მასიურად გაიყიდა და გასხვისდა საბავშვო ბაღების შენობები. ეს ორგანიზაციები ქმნიდნენ და ავრცელებდნენ რესურსებს მაშინაც, როცა განათლების მიმართულებით ადგილობრივად გამოყოფილი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით განსაზღვრული ფინანსური მხარდა-

ჭერა გადაფარა ჯანდაცვის პრიორიტეტულობამ. ვგულისხმობ პანდემიით გამოწვეულ „სკოლამდელი განათლების კრიზისს', რაც მსოფლიო მასშტაბით თითქმის დაუძლეველი აღმოჩნდა. არასამთავრობო ორგანიზაციების მყისიერი რეაგირება გამოიხატა კვლევების ჩატარებაში, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რესურსების მიწოდებაში. დონორი ორგანიზაციები კი მუდმივად მობილიზებული იყვნენ და არიან, ექსპერტული ცოდნით და შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით შეავსონ ის ნაპრალები, რომლებიც განათლების სფეროში პერიოდულად ჩნდება და, ასევე, მხარს უჭერენ განათლების პოლიტიკის მიმდინარეობას. დარწმუნებული ვარ, მკითხველი ამოიცნობს ყველა ორგანიზაციას, ვისთანაც სამმართველო თანამშრომლობს. აქვე შევნიშნავ, რომ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები დროდადრო ითავსებენ სამმართველოს ექსპერტების ფუნქციას და, ტრენინგებისა თუ სხვა მხარდამჭერი შეხვედრების დროს, თავიდან „ეცნობიან" ნაცნობ საზოგადოებას უკვე სამინისტროს სახელით. ბოლო სამი წლის განმავლობაში სამმართველო აქტიურად ახდენდა ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური რესურსის მობილიზებას. აქვე მადლობას გადავუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, კივიტას გეორგიკას წარმომადგენლებს, Save the children-ის, ვოლდ ვიჟენ საქართველოს, მაკჯორჯიას, კოალიციას განათლებისთვის და, რა თქმა უნდა, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობას წარმატებულად დასრულებული თუ მიმდინარე ერთობლივი პროექტებისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლამდელი განათლების სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ცალკე პუბლიკაციას მივუძღვნით ამ ჟურნალში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე პროექტს, რომელიც მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების განხორციელების გზით. პროექტი უკვე მეორე წელია გრძელდება და მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება.

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის – დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა მოიაზრებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისთვის იმ ცოდნის მიწოდებას და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზების ერთად ძიებას, რაც აქამდე არ იყო უზრუნველყოფილი. ამ ფაქტმა, გარკვეულწილად, შეაფერხა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ოპერირება ადგილობრივ დონეზე, ისევე, როგორც შეანელა ინკლუზიური განათლების განვითარება. ამჟამინდელი პროცესების დინამიკურობა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ უახლოეს მომავალში წარმატებული შედეგი დაიდოს. ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობათა გათანაბრება ინდივიდუალურ მიდგომებს მოითხოვს; პროექტის ფარგლებში, გვემატება ახალი ღირებული პროფესიული კადრები, რაც ყველაზე მეტად სასიხარულოა. სამმართველოს გუნდის მიერ აღებული ვალდებულებები მოიცავს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

- მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვაში.
- მუნიციპალური შესაძლებლობების მხარდაჭერა სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილი სოციალურად დაუცველი და შშმ ბავშვების იდენტიფიცირებისთვის მათი საგანმანათლებლო მომსახურებაში ჩართვის მიზნით.
- ავტორიზაციის პროცესის მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე.
- საგანმანათლებლო რესურსცენტრების გაძლიერება მუნიციპალიტეტებისა და სკოლამდელი

დაწესებულებების ადგილობრივი უწყვეტი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

მსოფლიო ბანკის პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიის და ხარისხის პროექტი—საქართველო I2Q (IBRD)“ ადრეული და სკოლამდელი განათლების კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები აქტიურ ფაზაშია. „ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების დიაგნოსტიკური კვლევა საქართველოში“ დეტალურად ასახავს არსებულ მდგომარეობას და იძლევა იმ რეკომენდაციებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს სან დიეგოს უნივერსიტეტის პროფესიონალთა გუნდი საქართველოში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის სისტემისა და ხარისხიანი პროგრამების გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო დოკუმენტი, მონაცემთა ანგარიშგება, სახელფასო პოლიტიკისა და სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების სისტემის შემუშავება და სასკოლო მზაობის პროგრამის გადახედვა და დანერგვა ქვეყნის მასშტაბით 150 სკოლის ბაზაზე — ეს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც საფუძველს უყრის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს მდგრად განვითარებას. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, სახელფასო პოლიტიკის შემუშავება, მსოფლიო ბანკის ამ პროექტის ფარგლებში, დაეფუძნება უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემას და მომდევნო 2 წლის განმავლობაში დასრულდება. ეს კი, თავის მხრივ, უფრო მიმზიდველს გახდის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებას. რაც შეეხება პრაქტიკოსების სამუშაო პირობებს, სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული უწყებები თანამშრომლობენ საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებთან (და არამარტო). საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და მხარდამჭერი პროცესები მოიცავს საკითხებს, თუ როგორ უნდა გავხადოთ ადრეული განათლების პერსონალი კვალიფიციური და შევქმნათ პირობები პროფესიული განვითარების შესაძლებლობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის. სკოლამდელი განათლების სამმართველო თავიდანვე ჩართულია მსოფლიო ბანკის მიერ დაგეგმილ და განსახორციელებელ აქტივობებზე ანგარიშების რევიზიისა და შეთანხმების ყველა ეტაპზე.

უახლოეს მომავალში გაგაცნობთ იმ პროექტებსაც, რომლებზეც ვმუშაობთ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მხარდაჭერით. ადრეული და სკოლამდელი განათლების განვითარების მიმართულებით გვყავს სააგენტოს მიერ შერჩეული ადრეული განათლების პოლიტიკის მრჩეველი, რომელთანაც შეხვედრა და საზოგადოებისთვის ვებინარის ფორმატში საინტერესო საკითხების განხილვა იგეგმება.

- სკოლამდელი განათლების სამმართველოს მიერ განხორციელებული ყველა აქტივობის ადრესატი ბავშვია და ყველა აქტივობა საბავშვო ბაღში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ამისთვის არაერთი ინსტრუმენტი შემუშავდა. უპირველესი გახლავთ ახალი კურიკულუმის „თამაში“ დანერგვის სტრატეგია. ვგულისხმობ მეთოდურ და პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; ეს რესურსები სამმართველოს ფარგლებში შეიქმნა 2020 წელს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მათ დასანერგად ორი ტრენინგმოდული დაამტკიცა: პრაქტიკოსებისთვის — ბავშვებთან უშუალოდ მომუშავე ადამიანებისთვის და ბაგა-ბაღების ადმინისტრაციული რგოლისთვის: ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განათლების მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლებისთვის, ბაგა-ბაღების გაერთიანებების ხელმძღვანელებისა და მეთოდისტებისთვის, დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სა-

განმანათლებლო რესურსცენტრების ადრეული განათლების მიმართულების თანამშრომლებისთვის. ჩვენი შეთავაზება მუნიციპალიტეტებს აძლევს არჩევანის საშუალებას, გადაამზადონ გაერთიანებების და/ან ბაღების მეთოდისტები; წამყვანი სპეციალისტები; შეარჩიონ ერთი ან რამდენიმე ბაღი და მათი მთლიანი კონტინგენტი; ან ყველა თანამშრომელი ეტაპობრივად.

გასულ წელს 5 მუნიციპალიტეტში დაინერგა აღნიშნული რესურსები. მიმდინარე წლის განმავლობაში დამატებით 17 მუნიციპალიტეტი განისაზღვრა. თანასწორთა შორის მენტორინგის მოდელის პილოტირება სამ სამიზნე მუნიციპალიტეტში აღნიშნული რესურსების დანერგვის კვალდაკვალ მიმდინარეობს და ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ბოლო წლების განმავლობაში (მაგალითისთვის, ბოლო 5 წლის განმავლობაში) არაერთი საკანონმდებლო ცვლილება და/ან სიახლე გაჩნდა სკოლამდელი განათლების სფეროში.

- პირველ რიგში, აღსანიშნავია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა, დაწყებულიყო საბავშვო ბაღების ავტორიზაცია, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობით. ცვლილება თავისთავად ნიშნავს, რომ არსებულ რეალობას იაზრებ, საკუთარ შესაძლებლობებს აღიქვამ სწორად, იზიარებ სტანდარტის მოთხოვნებს და, შესაბამისად, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გეგმავ გონივრულ დროში გაწერილ სტრატეგიულ ნაბიჯებს. ამჟამად ავტორიზაციისთვის მზადების ეტაპზე ვართ და ერთად ვინაწილებთ პასუხისმგებლობას ამ მნიშვნელოვანი მოვლენის 2030 წლამდე ეტაპობრივად განსახორციელებლად.
- დამტკიცდა ავტორიზაციის სტანდარტები; გადაიხედა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.
- 14 არაქართულენოვან ბაღში, 3 წლიდან ასაკობრივ ჯგუფებში ინერგება ბილინგვური განათლების პროგრამა. ორენოვან ჯგუფებში გამოიყენება ბილინგვური განათლების მიდგომა: ერთი ენა – ერთი ადამიანი, რომელიც გულისხმობს აღმზრდელის მიხედვით ენების გამიჯვნას. მაგ.: ორი აღმზრდელი ბავშვს სხვადასხვა ენაზე ესაუბრება, რომელთაგან ერთი ბავშვის მშობლიური ენაა.

აქვე, დღეისათვის სკოლამდელი განათლების სფეროს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებსაც შევეხები:

- მიღწევაა ის, რომ ბავშვის ფუნდამენტური უფლებების გააზრებისა და პრაქტიკაში დანერგვის ეტაპი დაიწყო საქართველოში;
- გაჩნდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები და სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარებისთვის საერთო ხედვა ჩამოყალიბდა. დაიწყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აქამდე არარსებული მხარდამჭერი პროცესები ადრეული განათლების განვითარების მიმართულებით;
- ძალისხმევა სხვადასხვა უწყების მხრიდან, რომლებიც ურთიერთნდობისა და პატივისცემის პრინციპით ხელმძღვანელობენ, კონსოლიდირებულად მიემართება სკოლამდელ საზოგადოებას;
- რვა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამები; მათგან სამმა უნივერსიტეტმა (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) აღნიშნული პროგრამა აკრედიტაციისთვის უკვე წარადგინა სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში; ეს დასაწყისია იმ დიდი ნაპრალის ამოსავსებად, რომელსაც კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ჰქვია და რომელიც სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საფეხურის არარსებობამ გამოიწვია.

- 5 მუნიციპალიტეტთან ერთად შევიმუშავეთ სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირებისა და მათი საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისთვის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები; ეს თავისთავად გულისხმობს ალტერნატიული სკოლამდელი განათლების მომსახურების გაჩენას, რაც მეტი არჩევანის საშუალებას მისცემს მშობელს;
- მშობლების მიერ დღეს უფრო მეტადაა აღიარებული სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა და საჭიროება. სამმართველოს მიერ შემუშავდა რესურსი „რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლებისთვის“, პოზიტიური მშობლობის ბროშურა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა. ამ უკანასკნელის დანერგვა საბავშვო ბაღებში დაგეგმილია უახლოეს მომავალში და მას სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საბავშვო ბაღების პრაქტიკოსების გადამზადების გზით განახორციელებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ჩართულობა. შეუძლებელია, მხოლოდ ერთი ინსტიტუციის პრეროგატივა იყოს ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე განათლების მიწოდებაზე ზრუნვა. ამ პროცესში არაერთი დისციპლინა მონაწილეობს. მეცნიერები, დარგის ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ არსებული სისტემების ბავშვზე ზემოქმედებისა და მათი ურთიერთქმედების გავლენებზე. საზოგადოებას კი ამ დროს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. გავიხსენოთ ლევ ვიგოტსკის სოციალურ-კულტურული განვითარების თეორია ან ბრონფრენბენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია. მაგალითისთვის, შეგვიძლია მივმართოთ განვითარებულ ქვეყნებში თემის ჩართულობის პრაქტიკებს, რომელიც არცერთ ოჯახს მარტო არ ტოვებს საკუთარი პრობლემის წინაშე. თემის წარმომადგენლები ხმამაღლა საუბრობენ საჭიროებებზე და ერთად პოულობენ გამოსავალს, საზოგადოების წევრები აქტიურობენ კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის, სკოლამდელი განათლების რესურსების მოძიებისა და ზოგადად, სკოლამდელი განათლებისთვის ბიუჯეტის შედგენის პროცესში. საზოგადოება უნდა გააქტიურდეს და კარგად გაიაზროს, როგორ განსაზღვრავს ადრეულ ასაკში ჩადებული ინვესტიცია ქვეყნის მომავალ განვითარებას. საზოგადოება უნდა გახდეს უფრო მომთხოვნი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმწოდებლების მიმართ და დასვას კითხვები: არის თუ არა ბაღი, ბავშვის ჰოლისტური განვითარების თვალსაზრისით, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო? აღიარებულია თუ არა ბავშვის უფლებები, ინტერესები? ითვალისწინებენ თუ არა მის თავისებურებებს და მიუხედავად განმასხვავებელი მახასიათებლებისა, ეპყრობიან თუ არა ყველა ბავშვს ერთნაირი პატივისცემით. სწორედ ამ კითხვების დასმით იქმნება უსაფრთხო და ტოლერანტული საზოგადოება.

რადგან სტატიის ფორმატი არ ითვალისწინებს მცირემასშტაბიანი პროექტების დეტალურ მიმოხილვას, სამმართველოს გუნდი ვიტოვებთ უფლებას, ჟურნალის მომდევნო ნომრებში პერიოდულად გაგაცნოთ ჩვენი საქმიანობა, მიმდინარე აქტივობები და მომავლის გეგმები. აქვე გამოვთქვამთ მზაობას, გავითვალისწინოთ თქვენი მოსაზრებები განახლებულ ვებინარებში, რომლებიც ისევ გავა ფეისბუქგვერდზე „სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისთვის“.

ნინო ლაბარტყავა
ფსიქოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამის მენეჯერი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამა 2018 წლიდან არსებობს. მისი მიზანი სკოლამდელი განათლების სპეციალისტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა.

ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამის ძირითადი ამოცანებია:

1. აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულის შემუშავება, მიმწოდებელი ორგანიზაციების გამოვლენა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი კონსულტირება და მონიტორინგი.
2. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
3. სამიზნე მუნიციპალიტეტების ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალის გადამზადება ადრეული განათლების კურიკულუმის – „თამაში“ დანერგვის მიზნით.
4. 2021 წლიდან, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, პროექტის – „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა პრაქტიკოსების პროფესიული განვითარების გზით“ - განხორციელება.

მოკლედ შეჯამებით თითოეულ ამოცანას

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულებაა, შეიმუშაოს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულები და ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებს მათ გადამზადებაში.

აღნიშნული ვალდებულების განხორციელების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდული“. ტრენინგმოდული აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებისა და პროფესიული განვითარების საგალდებულო ეტაპს წარმოადგენს; ის 66 საკონტაქტო საათს მოიცავს და მასში გათვალისწინებულია შემდეგი თემატიკა: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და კურიკულუმები, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები, ბავშვზე დაკვირვება და შეფასება,

მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, ბავშვთა კეთილდღეობა და ბავშვის უფლებები, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლები, გარემოს უნივერსალური დიზაინი, დღის განრიგი, თამაში და მისი მნიშვნელობა, ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

ტრენინგმოდულის პირველი ვერსია 2018 წელს დამტკიცდა. 2018-2019 წწ. აღნიშნული მოდულით გადამზადდნენ სკოლამდელი დაწესებულებების/საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებების მეთოდისტები. ტრენინგმოდულის განახლებული ვერსია 2020 წელს დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N68/ნ ბრძანებით, მისი ონლაინვერსია კი – 2021 წლის 13 აგვისტოს 70/ნ ბრძანებით. ტრენინგმოდულის განახლებულ ვერსიაში განსაზღვრულია მოთხოვნები მისი მიწოდების მსურველი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცედურების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ცენტრმა სამჯერ ჩაატარა კონკურსი მსურველი ორგანიზაციების შესარჩევად; გამოვლენილი და გადამზადებულია 8 ორგანიზაცია და 29 ტრენერი.

ტრენინგმოდულის მიმწოდებელი ორგანიზაციებია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „მწვანე ალუბალი“, „კივიტას გეორგიკა“, „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ვ პუნქტის თანახმად, აღმზრდელების გადამზადების უზრუნველყოფა მუნიციალიტეტების ვალდებულებაა. 2022 წლის ბოლო მონაცემებით, 2021 წლიდან აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულით გადამზადებულია 38 მუნიციპალიტეტის 1071 აღმზრდელი. მათგან ტრენინგი წარმატებით აქვს გავლილი 843 პირს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადამზადებულია 255 პირი. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მე-4 მუხლის თანახმად, დასაქმებული აღმზრდელებისთვის უმაღლესი განათლებისა და 4-წლიანი სამუშაო გამოცდილების არსებობის ან ბაღის აღმზრდელის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ტრენინგმოდულის გავლა აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე მუშაობის დასაწყებად აუცილებელი პირობაა. ასე რომ, არსებული მონაცემებით შესაძლებელია, საქართველოს 38 მუნიციპალიტეტში გაჩნდეს 843 აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია. თუმცა ჯერჯერობით, აღნიშნული პოზიცია მხოლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტში შეიქმნა. ბორჯომის მუნიციპალიტეტს დღეს ჰყავს 25 აღმზრდელ-პედაგოგი. 2022 წელს ბაგა-ბაღების გაერთიანებამ მუნიციპალიტეტის მერიაში შეიტანა საშტატო ნუსხა აღნიშნული პოზიციით და მისასალმებელია, რომ მერიამ წარდგენილი პირებისთვის განსაზღვრა განსხვავებული ხელფასიც.

გარდა ამისა, სკოლამდელი განათლების სპეციალისტების, საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, ცენტრში იქმნება დამატებითი ტრენინგმოდულები, მაგალითად, ადრეული განათლების საფუძვლები, სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება, თამაში, მუსიკის მიმართულება სკოლამდელ დაწესებულებებში, ბავშვთა უფლებები. 2023 წელსაც დაგეგმილია რამდენიმე ტრენინგმოდულის შემუშავება. მინდა აღვნიშნო, რომ სპეციფიკური ტრენინგმოდული მუსიკის მიმართულებით სკოლამდელი დაწესებულებისთვის პირველად შეიქმნა ჩვენს ცენტრში და 2022 წელს,

საპილოტე რეჟიმში, ქალაქ თბილისის 40 მუსიკის პედაგოგი გადამზადდა. ცენტრი 2023 წელსაც გეგმავს აღნიშნული ტრენინგის გაგრძელებას.

ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავებული ტრენინგმოდულით სისტემატურად მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების/ბაგა-ბაღების გაერთიანებების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების, საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელების გადამზადება.

ამასთან ერთად, კურიკულუმის „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის" დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2022 წელს 4 სხვადასხვა ტრენინგმოდულით გადამზადდნენ ხუთი სამიზნე მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მენეჯერები და პერსონალი.

რაც შეეხება გაეროს ბავშვთა ფონდის (unicef) მიერ დაფინანსებულ პროექტს „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა პრაქტიკოსების პროფესიული განვითარების გზით", მისი განხორციელება ცენტრმა 2021 წლიდან დაიწყო, 2022 წლიდან კი ხორციელდება პროექტის მეორე ფაზა.

2021 წელს პროექტის ფარგლებში შეიქმნა აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგმოდულის მიწოდების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების წესი, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები. სტანდარტების დანერგვის მიზნით შერჩეულ 11 მუნიციპალიტეტში აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულით გადამზადდა 29 საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი. ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების 9 ბაღში ტრენინგი ჩატარდა მშობლიურ ენაზე თარგმნით (სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე). აჭარის სამი მუნიციპალიტეტის 9 საბავშვო ბაღში განხორციელდა ხარისხის სტანდარტის დანერგვა რეგულარული ქოუჩინგის გზით. ასევე, ადრეული განათლების კურიკულუმის – „თამაში" პილოტირების მიზნით, ოთხი მუნიციპალიტეტის საპილოტე ბაღებში განხორციელდა საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალისა და ადმინისტრაციის გადამზადება შესაბამისი ტრენინგმოდულებით და 7 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პერსონალის რეგულარული ქოუჩინგი და კონსულტირება. პროექტის მიმდინარეობის პროცესში მოხდა 3 საგანმანათლებლო ფილმის გადაღება: „ინდივიდუალიზაცია", „ზეიმი საბავშვო ბაღში", „გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორი". აღნიშნული ფილმების ნახვა შესაძლებელია ცენტრის ციფრული სერვისებისა და რესურსების ახალ პორტალზე „განათლების E სახლი" http://educationhouse.ge/page/307.

პროექტის მეორე ფაზაში ხარისხის სტანდარტი ინერგება აჭარის რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში. პროექტის პირველივე ეტაპზე, 2022 წელს, განხორციელდა საგანმანათლებლო პროცესის შესწავლა, პროექტში ჩართული საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის შუალედური შეფასებისა და ახალ მუნიციპალიტეტებში საბაზისო სიტუაციის შეფასების მიზნით. კვლევაში ჩართული იყო 12 საპილოტე და 12 საკონტროლო საბავშვო ბაღი. ახალ მუნიციპალიტეტებში საპილოტე ბაღების პერსონალისთვის ჩატარდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდული". ჯგუფებზე დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, დაიგეგმა თითოეული საპილოტე საბავშო ბაღის თითოეული ჯგუფის ქოუჩინგის გეგმა. პროცესი ხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირების გზით და სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს. პირველი მიმართულება მოიცავს მუშაობას ხარისხის სტანდარტის დანერგვაზე, სადაც პერსონალის პრაქტიკაში დახმარება ეხება იმგვარ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, ხარისხის სტანდარტის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობა. აღნიშნული აქტივობის განსახორციელებ-

ლად ცენტრის ტრენერი/ქოუჩი ქმნის ჯგუფის და ეზოს პროექტს, რომელშიც შედის როგორც საჭირო ინვენტარის ესკიზები, ისე მისი განლაგების გეგმა, სივრცის გათვალისწინებით; თანამშრომლობს გაერთიანებებთან და მერიის შესაბამის იურიდიულ სამსახურებთან, რათა თანამშრომლობით მოხდეს საჭირო ინვენტარის შეძენა. პროექტის პირველ ფაზაში ცენტრისგან იღებს საგანმანათლებლო ინვენტარს. ქოუჩინგის პროცესში ტარდება სამუშაო შეხვედრები, რომლებიც ეხება საგანმანათლებლო პროცესში არა მხოლოდ მზა სათამაშოების, არამედ ღია მასალების გამოყენებასაც. ღია მასალებში მოიაზრება როგორც ბუნებრივი (ფოთლები, ტოტები, გირჩები, კენჭები და სხვა), ასევე ქარხნული წარმოების რესურსების (მუყაოს ყუთები, ნაჭრები, ღილები და ა.შ) გამოყენება ბავშვების შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისა და თამაშის გამრავალფეროვნების მიზნით.

ცენტრის ტრენერი/ქოუჩი, ასევე, ადგენს სიას იმ საბავშვო წიგნებისა, რომლებიც არის ჩვენს ბაზარზე და რომლებიც შეესაბამება ადრეული ასაკის ბავშვების ინტერესებსა და შესაძლებლობებს. იმავდროულად, მუშაობა ეხება იმგვარ საკითხებს, როგორიცაა ბავშვის „დანახვა“ და ბავშვზე დაკვირვების უნარების განვითარების ხელშეწყობა; ასევე, საკითხს – რა არის თამაში და რას მოიცავს ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი. მუშაობას საბავშვო ბაღების პერსონალთან და მენეჯერებთან, რათა გაითავისონ, რომ ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი მოიაზრებს არა მუდმივად აღმზრდელის მიერ ინიცირებული თემისა და აქტივობის განხორციელებას, არამედ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე.

მეორე მიმართულება გახლავთ მუშაობა ბაღების გაერთიანებებთან მუნიციპალურ დონეზე, ინკლუზიური განათლების სტრატეგიის შემუშავების მიზნით. შესაბამისად, ჩატარდება სიტუაციის მოკვლევა რეგიონში არსებული სპეციალისტების, ადრეული ინტერვენციის სერვისებისა და სსმ/შშმ ბავშვების იდენტიფიცირებისთვის.

მესამე მიმართულება ეხება ისევ გაერთიანებების მხარდაჭერას დაწესებულებების შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავებასა და პილოტირებაში. ამასთან ერთად, მიმდინარე წელს დაგეგმილია 2021 წელს პროექტში ჩართული ბაღების პერსონალის გაძლიერება იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეძლონ სხვა საბავშვო ბაღებისთვის გამოცდილების გაზიარება.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი მრავალფეროვანი საქმიანობისა, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პროცესში ჩართული მხარეების – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, მუნიციპალიტეტებისა და სხვა კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის აღსრულება და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამის ძალიან კარგი პრეცედენტი გვაქვს აჭარის რეგიონში – ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებსაც დგამს ცენტრი მეთოდოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით, არ იქნებოდა შედეგიანი, რომ არა ბათუმის, ხულოს, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედას ბაგა-ბაღების გაერთიანებათა აქტიური ჩართულობა.

თუ დავეყრდნობით ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ჰეკმანის არაერთ კვლევას, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში აანალიზებს ადრეულ განათლებაში დაბანდებული ინვესტიციების შედეგებს, სწორედ სკოლამდელ განათლებაში ჩადებულ თანხას მოაქვს ყველაზე დიდი „მოგება“ წლების შემდეგ, რაც ზოგ შემთხვევაში ყოველ 1 დოლარზე 8 დოლარს უდრის და ზრდის პროდუქტიულობას ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში (ჯანელიძე, 2012).



ნინო ხითარიშვილი
სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ავტორიზაციის სისტემის დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში

2016 წელს, სკოლამდელი განათლების კანონის მიღების შედეგად, ხელშესახები ცვლილებები გახდა შესაძლებელი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ამ მიმართულებით დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც უკავშირდება სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გამართვას და ავტორიზაციის სისტემის დანერგვას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, 2022 წელს სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, ავტორიზაციის პროცესის მართვა დროებით გადმოტანილიყო ცენტრალურ დონეზე და მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა დაევალა სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. შესაბამისად, შეიქმნა ცენტრის სტრუქტურული ერთეულიც – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სამსახურის ძირითადი ფუნქციაა – განახორციელოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია; უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის სანდოობა და მისი შედეგების საჯაროობა. ამ მიზნის მისაღწევად, სამსახური ქმნის და მართავს ექსპერტთა კორპუსს, ხელს უწყობს პროცესში ჩართული მხარეების – დაწესებულებების, ბაღების გაერთიანებების, ავტორიზაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრების, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების შე-საძლებლობების გაძლიერებას; მართავს მათთვის კონსულტაციებს; ატარებს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს; შეიმუშავებს რეკომენდაციებს; ამზადებს სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს; ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დანერგვასა და მათ მუდმივ განვითარებაზე.

ზოგადად, სისტემის ავტორიზაციისთვის მომზადება საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. შესაბამისად, რეფორმის თითოეული ეტაპი კარგადაა გააზრებული და გაწერილია დროში. 2022-2023 წლებში ორი მნიშვნელოვანი აქტივობა ხორციელდება: პირველი უკავშირდება საჯარო და კერძო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რეგისტრაციას რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში, ხოლო მეორე – ავტორიზაციის განხორციელებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის დროებითი წესისა და სტანდარტების მომზადებას. ამ უკანასკნელის შემუშავებაზე მუშაობს ცენტრი. ავტორიზაციის დროებითი წესი და სტანდარტები იმოქმედებს გარდამავალ პერიოდში, რომელიც კანონის თანახმად, განსაზღვრულია 2030 წლის 1 იანვრამდე.

2022 წელს მნიშვნელოვანი ძალისხმევა იყო მიმართული ბაღების ინფორმირებაზე რეგისტრაციის

ელექტრონულ სისტემაში დასარეგისტრირებლად. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შეიქმნა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომელმაც პილოტირება გაიარა ბაღების 4 გაერთიანებაში, თბილისის 11 საჯარო და 4 კერძო ბაღში. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრების ციკლი საჯარო და კერძო ბაღებთან, ბაღების გაერთიანებებთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. მომზადდა რეგისტრაციის ვიდეოინსტრუქცია და გზამკვლევი. რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა გაიხსნა 2022 წლის 1 ივლისს და დაიხურა 2022 წლის 31 დეკემბერს. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელი იყო ბმულზე: preschoolregistration.emis.ge. რეგისტრაციის მთელი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა აქტიური კომუნიკაცია ბაღებთან და მუნიციპალიტეტებთან. მათთან გვქონდა სატელეფონო კონსულტაციები და ტექნიკურად ვეხმარებოდით რეგისტრაციის გავლაში. უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი რეგისტრაციის სისტემაში დარეგისტრირება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან 2023 წლიდან მხოლოდ ბაზაში მოხვედრილ ბაღებს ექნებათ კანონისმიერად საქმიანობის განხორციელების უფლება.

ამასთან ერთად, რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სფეროში ახალი სუბიექტების შემოსვლის რეგულირება. შესაბამისად, ყველა დაწესებულება, რომელიც გამოთქვამს მზაობას, დაიწყოს საქმიანობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2023 წლიდან დაექვემდებარება ავტორიზაციას, რაც ნიშნავს იმას, რომ დაინტერესებული იურიდიული პირი შესაბამისი მომსახურების მიწოდებას შეძლებს მხოლოდ ავტორიზაციის გავლის შემდგომ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორიზაციის განხორციელებისათვის, რეგისტრაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება. ეს გულისხმობს ორი თემის გამართვას: პირველი უკავშირდება ავტორიზაციის პროცედურულ საკითხებს, ხოლო მეორე – შინაარსობრივ ნაწილს.

დროებითი წესის პროცედურული ნაწილი განსაზღვრავს ავტორიზაციის წარმართვის პროცედურას, არეგულირებს პროცესის წარმართვის ვადებს, პროცესში ჩართული მხარეების – ცენტრის, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისა და ავტორიზაციისა და სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილებებს, ადგენს მონიტორინგის პროცედურას და განსაზღვრავს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების პრინციპებსა და სქემას.

შინაარსობრივ ნაწილში მომზადებულია ავტორიზაციის სტანდარტების პროექტი, რომელიც 4 ძირითად სტანდარტს აერთიანებს. ეს გახლავთ: დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება, კურიკულუმი, ოჯახისა და თემის ჩართულობა და სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის ადმინისტრაციული მხარდაჭერა. ასევე, შემუშავებულია დანართი, რომელიც შეეხება ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის საკითხებს. ჩატარდა აღნიშნული დოკუმენტების საჯარო განხილვები მთელი ქვეყნის მასშტაბით. საჯარო განხილვების პროცესი იყო ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი, რადგან ჩვენთვის საინტერესო და საჭირო იყო იმ ადამიანების აზრის მოსმენა, რომლებსაც უშუალოდ მოუწევთ ამ რეგულაციების დაკმაყოფილება. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო, პროცესში ჩართულ მხარეებს მანამდე ჰქონოდათ ინფორმაცია ახალ რეგულაციებზე, სანამ დოკუმენტი ოფიციალურად დამტკიცდებოდა.

საჯარო განხილვებში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ბაღების გაერთიანებების/სააგენტოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრების, საჯარო და კერძო ბაღების წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე აუდიტორიის მხრიდან, საერთო განწყობა და ცვლილებების მიმართ მიმღებლობა იყო საკმაოდ მაღალი. ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია, რომელიც განხილვების პროცესში გაჟღერდა, იყო ჩანიშნული და განხილული საკოორდინაციო ჯგუფთან.

აქტიურ ფაზაშია შესული ავტორიზაციის დროებით წესზე მუშაობაც. დოკუმენტის პროექტი გავუზიარეთ დარგობრივ სამინისტროებს უკუკავშირისთვის. ამ ეტაპზე კი ინიცირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების დაგეგმილი ავტორიზაციის ფარგლებში, მიმდინარე წელს განხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობა. ეს გახლავთ დაწესებულებების დიაგნოსტიკური თვითშეფასება. შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება პირველი პრეცედენტი, როცა დაწესებულებები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთიანად შეფასდებიან სტანდარტებთან მიმართებაში. დიაგნოსტიკური თვითშეფასების განხორციელება ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, თითოეული ბაღის მიერ საკუთარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების უკეთ გააზრებას, ხოლო, მეორე მხრივ, სისტემის დონეზე ჰოლისტურად დაგვანახებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს და შექმნის მათი პრიორიტეტიზაციის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ბაღები თვითშეფასების პროცესში არ იქნებიან მარტო. ამ მიზნით მომზადდება მხარდამჭერი სპეციალისტების გუნდი, რომლის წევრებიც ინდივიდუალურად იმუშავებენ თითოეულ დაწესებულებასთან და დაეხმარებიან შემდგომ განვითარებაში. უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმაზეც, რომელიც ხელს შეუწყობს პროცესის ეფექტიან განხორციელებას. დიაგნოსტიკური თვითშეფასების ანალიზის შედეგად, 2024 წელს შემუშავდება და დამტკიცდება ავტორიზაციის გავლის განრიგი, რომლის მიხედვითაც 2025 წლიდან დაიწყება ბაღების ავტორიზაცია.

ჩვენი სამსახური ქმედით მხარდაჭერას უცხადებს ადგილობრივ თვითმმართველობებს, სკოლამდელი განათლების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების საკითხში. ავტორიზაციის პროცესში, ისევე, როგორც სისტემის ავტორიზაციისთვის მომზადების პერიოდში, მუნიციპალიტეტების როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, ავტორიზაციის დროებით წესში ცალკე მუხლი დაეთმო მუნიციპალიტეტების უფლებამოსილების საკითხს, ავტორიზაციის პროცესთან მიმართებაში. ამასთან, მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობა გათვალისწინებულია ყველა აქტივობაში, რომელსაც მოიაზრებს მიმდინარე რეფორმა. კერძოდ, მუნიციპალიტეტებს აქვთ წვდომა რეგისტ-

რაციის ელექტრონულ სისტემაზე და ხედავენ, როგორ მიდის რეგისტრაციის პროცესი მათ სამოქმედო ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მოწვეულნი იყვნენ ავტორიზაციის სტანდარტების საჯარო განხილვებზე. ავტორიზაციის დროებითი წესის პროექტი, **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართულობითა და დახმარებით, გაიზიარა ყველა მუნიციპალიტეტმა; მათ წვდომა ექნებათ თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმაზე; ექნებათ ანალიტიკის განხორციელების შესაძლებლობა, რაც საშუალებას მისცემთ, დააკვირდნენ ბაღების განვითარების ტენდენციას წლების მიხედვით, მოახდინონ გამოწვევების იდენტიფიცირება; მუნიციპალიტეტს საშუალება ექნება, საავტორიზაციო ვიზიტის პროცესში, ბაღში მიავლინოს საკუთარი თანამშრომელი, ასევე, ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დამატებით, ცენტრის მხრიდან განხორციელებულ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებში უზრუნველყოფილი იქნება მათი აქტიური ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას და გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდგომ პროცესების ეფექტიან დეცენტრალიზაციას.**

უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო, თავისი ბუნებით, ძალიან მასშტაბური და კომპლექსურია, რადგან ამ მიმართულებით მომსახურების გაწევა მოიცავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო კომპონენტს, არამედ, კვებას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო ვერ შეიქმნება შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების ჩართულობისა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. ავტორიზაციის სისტემის გამართვის მიზნით, ცენტრის შიგნით ჩამოყალიბდა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც მართავს სისტემატურ შეხვედრებს ადგილობრივ უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; შეხვედრებზე განიხილება სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ჯგუფის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ–მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები, კერძოდ კი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სურსათის ეროვნული სააგენტო. პროცესში ჩართულია ასევე, კერძო ბაღების ასოციაცია, საბავშვო ბაღების მხარდამჭერი ასოციაცია, კივიტას გეორგიკა, მსოფლიო ბანკის პროექტი „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი საქართველო I2Q“; აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გამართვაში დიდ დახმარებას გვიწევს UNICEF გაეროს ბავშვთა ფონდი და "World Vision International"-ი. პროცესებში აქტიურად არის ჩართული იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს JICA-ს ექსპერტი.

თამაში

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲣᲩᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი, „საქართველოს პორტიჯის ასოციაციის“ ადრეული განვითარების სპეციალისტი

თანამედროვე საზოგადოებაში, როდესაც ცხოვრების რიტმი დაჩქარებულია, ძალიან ცოტა დრო რჩებათ ბავშვებს თავიანთი ფუნდამენტური უფლების, თამაშის, სრულფასოვნად განხორციელებისთვის[1]. მშობლებს სურთ, მათი შვილები არ ჩამორჩნენ იმ ტემპს, იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომელსაც ჩვენი ეპოქა გვთავაზობს. ხშირად ადრეული ასაკიდანვე ცდილობენ, შეასწავლონ მათ უცხო ენა, მუსიკა, სპორტი, ჭადრაკი. მშობლების ასეთი დამოკიდებულება მისაღები და მისასალმებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვების წარმატებული მომავლის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, მათივე უფლებები არ დაირღვევა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედება – თამაში არ დაიკარგება. რატომ არის თამაში ყველა სხვა ქმედებასა თუ აქტივობაზე მნიშვნელოვანი ადამიანის განვითარებისთვის.

თამაშის თეორიები, დაწყებული ფრობელიდან და დამთავრებული პიაჟეთი, მის სხვადასხვა ასპექტს განიხილავს. შეუძლებელია ამ კომპლექსურ ქმედებას ერთი კონკრეტული დეფინიცია ჰქონდეს. კარლ გროსი თამაშს როგორც ნებისმიერი ძუძუმწოვარა არსებისთვის დამახასიათებელ ქმედებას აღწერს და მის მთავარ ფუნქციად ცხოვრებისთვის მზადებას მიიჩნევს. ჟან პიაჟე თამაშის შემეცნებით/კოგნიტურ დატვირთვას უსვამს ხაზს და მას ინტელექტის გავარჯიშების საშუალებად განიხილავს. ზიგმუნდ ფროიდი განსაკუთრებულ ყურადღებას თამაშის წარმოსახვით ნაწილს აქცევს, სადაც ბავშვს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი ის, რაც რეალურ ცხოვრებაში არ არის მიღებული/დასაშვები; ასევე, განიტვირთოს იმ უარყოფითი გამოცდილებისგან, რომელიც ცხოვრებაში მიუღია; დაძლიოს შიშები. დიმიტრი უზნაძე თამაშს აღწერს როგორც პროცესს, რომლის წამყვანიც თვითონ ბავშვია და თამაშის მიზანი არა რამე კონკრეტული შედეგის მიღებაა, არამედ პროცესით სიამოვნება.

პირობითად, თამაში შეგვიძლია შემდეგ ძირითად მახასიათებლებად დავყოთ:

- **ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲗ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ** – არ არის შედეგზე მიმართული, ბავშვი თამაშობს იმიტომ, რომ ეს მისი არჩევანი და მისი სურვილია. მაგ.: ხტუნაობს გუბეში, ისვამს საღებავებს ხელებზე, აკეთებს ტალახისგან ტორტებს.
- **ᲒᲐᲜᲘ წᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲝᲜᲐ** – ბავშვი თვითონ ირჩევს, რა ითამაშოს და თვითონ ადგენს თამაშის წესებს. მაგ.: ვინ იქნება „გამყიდველი“, „მყიდველი“, „დედა“, „მამა“ და ა.შ..
- **ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ** – ფიზიკურად/გონებრივად აქტიურად არის ჩართული, კონცენტრირებულია, ყურადღება არ ეფანტება, მოსწონს რასაც აკეთებს, მაგ.: სრიალებს სასრიალოზე ხან ზურგით, ხან მუცელზე; შლის და აწყობს სათამაშოს.

- **შინაგანი მოტივაცია** – სიახლის აღმოჩენის სურვილი, ახალი შეგრძნებების მიღების სურვილი. მაგ.: თხრის მიწას ხელით; აკვირდება, როგორ გადაადგილდებიან ჭიანჭველები; ურევს სხვადასხვა ფერის საღებავებს ერთმანეთში.
- **ნებაყოფლობითი გასჭიდის საშუალება** – შესაძლებელია, წარმოსახვითი თამაშისას რამდენჯერმე გაითამაშოს თავისი ცხოვრებიდან იმ სცენის მსგავსი სცენა, რომელიც მისთვის არასასურველ, უარყოფით ემოციებთან იყო დაკავშირებული.

თამაში არის ქმედება, რომლის წესებს, დინამიკას, სიუჟეტს, მასალას ბავშვი თავად უნდა განსაზღვრავდეს. ამ დროს ბავშვებს უწევთ არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, საკუთარ შეცდომებსა და მცდელობებზე დაყრდნობით, სამყაროს შემეცნება, რაც, საბოლოოდ, მათ თავდაჯერებულობასა და თვითრწმენაზე ახდენს დადებით გავლენას.

შესაბამისად, თუ ვაღიარებთ, რომ თამაშის წამყვანი უნდა იყოს ბავშვი და არა ზრდასრული, მაშინ რა როლი აქვს საერთოდ ზრდასრულს, გარდა იმისა, რომ ბავშვის უსაფრთხოება დაიცვას და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილოს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბერტოლდ ბრეხტმა შექმნა თეატრი, რომელიც ეპიკური თეატრის სახელით არის ცნობილი. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო, მაყურებელი აქტიურ დამკვირვებლად გადაექცია, რათა იგი ინტელექტუალურად ყოფილიყო ჩართული სპექტაკლის სიუჟეტში, გაეანალიზებინა სცენაზე გათამაშებული სიტუაციები და, საბოლოო ჯამში, სცენაზე ასახული არასასურველი პროცესების შესახებ რეფლექსია გაეკეთებინა და მოეფიქრებინა პრობლემების გადაჭრის გზები. ერთი სიტყვით, ეპიკური თეატრის მაყურებელი, პირველ რიგში, კარგი დამკვირვებელი უნდა ყოფილიყო. ზრდასრულიც, ბავშვების თამაშის ყურებისას, ეპიკური თეატრის მაყურებლად უნდა იქცეს; დამკვირვებლად, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ბავშვის თამაშის განვითარების ეტაპებს; იცის, რომ მარტო თამაშის პერიოდი სენსო-მოტორული განვითარების ეტაპს ემთხვეევა, როდესაც ბავშვი იმ საგნებით, ნივთებით, ხმებით, სუნით და გემოთი შეიმეცნებს სამყაროს, რომელიც მის გარშემოა; იცის, რომ ამ საფეხურის გავლის შემდეგ, ბავშვი საგნების ფუნქცი-

ურად გამოყენებას სწავლობს, მაგალითად, ბურთს ან სათამაშო მანქანას აგორებს, ფანქარს ფურცელზე უსვამს, ჭიქიდან სვამს და ამავე პერიოდში ცოტა უფრო მეტად სოციალური ხდება. შესაძლოა, სხვა ბავშვებთან უშუალო კონტაქტი არ დაამყაროს, მაგრამ მათთან ერთად ერთ სივრცეში ითამაშოს, შეხედოს, დააკვირდეს, მიბაძოს. ბავშვებთან მომუშავე ზრდასრულმა უნდა იცოდეს, რომ ამ ეტაპის გავლის შემდეგ ასოციაციური თამაშის პერიოდი იწყება, სადაც ბავშვი უკვე მიზანმიმართულად ამყარებს კონტაქტს თანატოლებთან და ძალიან მალე ყველაზე მრავალფეროვანი, კოოპერაციული თამაშის ფაზაში გადადის. ამ დროს ბავშვები ერთობლივად თამაშობენ, ერთად თანხმდებიან თამაშის წესებზე, ირგებენ როლებს. მათი წარმოსახვითი უნარები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, ბავშვებს შეუძლიათ, საგნებს ფუნქციური დანიშნულება დაუკარგონ და ბევრად უფრო საინტერესო ნივთებად, საგნებად აქციონ. მაგიდა შეიძლება გამოქვაბულად იქცეს, სკამი – გემად, ქვაბი და კოვზი – დასარტყამ ინსტრუმენტებად და ასე შემდეგ.

ბავშვის თამაშზე დაკვირვება განსაკუთრებული გამოცდილება და გამოწვევაა; მხოლოდ დაკვირვების შემდეგ შეუძლია ბავშვთან მომუშავე ზრდასრულს გადაწყვიტოს, ჩაერთოს თუ არა ბავშვის თამაშში.

დიახ, ჩვენ ვამბობთ, რომ ბავშვისთვის თამაში ბუნებრივი ქცევაა და ნებისმიერ ბავშვს შეუძლია თამაში, არ აქვს მნიშვნელობა არის ის განსაკუთრებული საჭიროებების თუ ტიპური განვითარების მქონე. თამაშის გარკვეულ ეტაპს ყველა მათგანი გადის, თუმცა შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო რომელიმე ეტაპი ვერ გაიაროს, წინ ვეღარ წავიდეს. ამის მიზეზი უამრავი შეიძლება იყოს – ცხოვრების დაჩქარებული ტემპი, არასათანადო გარემო, სადაც ბავშვები ნაკლებ დროს ატარებენ გარე სივრცეში და ადრეული ასაკიდანვე უმეტესად სტრუქტურირებულ გარემოში ხვდებიან, გაჯეტდამოკიდებულება, განსაკუთრებული საჭიროებები, ემოციური მდგომარეობა და მრავალი სხვა. სწორედ აქ იკვეთება ზრდასრულების განსაკუთრებული როლი. სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მას არ ევალება თამაშის დაგეგმვა, მისი უშუალო მოვალეობა დაკვირვებაა, რადგან ბავშვებზე დაკვირვებისას აღმზრდელი გააცნობიერებს, რა სჭირდებათ ბავშვებს, განვითარების რა ეტაპზე არიან და რომელ მათგანს სჭირდება წახალისება, დახმარება, გარემოს შეცვლა თამაშის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად.

მშობლები და სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლები, პირველ რიგში, უნდა იყვნენ ძალიან კარგი დამკვირვებლები და ბავშვების დამხმარეები, რომლებიც, არაპირდაპირი ჩარევით, თამაშის სრულფასოვნად განხორციელებაში შეუწყობენ ხელს პატარებს.

ყველა თამაშს აერთიანებს ერთი მოცემულობა – ყველა თამაში ბავშვს მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ამზადებს. სხვადასხვა ასაკისთვის თამაშის განსხვავებული ფორმებია მისაღები, მაგრამ თამაში, ზოგადად, მნიშვნელობას მთელი ცხოვრების განმავლობაში არ კარგავს. იმ შემთხვევაში, თუ პატარა თამაშის რომელიმე ფორმას ვერ ეუფლება, უნდა დავეხმაროთ მას; სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბავშვისთვის გულისხმიერი ზრდასრულის გვერდში დგომა.

შენიშვნა

1 შ.:ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი31, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1994, http://tpdc.ge/images/stories/pdf/convchild_geo.pdf (25.01.2015)

გამოყენებული ლიტერატურა

1. Oerter Rolf, Zur psychologie des Spiels, http://www.edu.lmu.de/~oerter/index.php?option=com_docman&task=doc_view&gid=42 (20.02.2021)
2. Renner Michael, Spieltheorie und Spielpraxis. Eine Einführung für pädagogische Berufe, Lambertus-Verlag, 1991
3. Schwarz Rolf, Spielentwicklung in der früheren Kindheit, Kita Fachtexte, Alice Salomon Hochschule, Fröbel Gruppe und Weiterbildungsinitiative frühkindlicher Entwicklung, 2014 http://www.kita-fachtexte.de/uploads/media/KiTaFT_schwarz_2014.pdf (25.01.2015) უზნაძე
4. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, გამომცემელი: დიმიტრი შიშნიაშვილი, 2005
5. Iser, Julia, Angela, Die Theorie grundlegender menschlicher Werte, Autoritarismus und die Theorie der sozialen Dominanz als Erklärungsansätze für Vorurteile: ein integrativer Theorievergleich
6. Episches Theater https://www.studysmarter.de/schule/deutsch/textarten/episches-theater/

ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲠᲔᲡ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲑᲐᲚᲘ - ᲒᲐᲠᲔ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲩᲐᲯᲘᲔᲩᲐᲫᲔ
ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲝᲡᲘ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ?!

დღეს გარეთ თამაშის მნიშვნელობა ერთ-ერთი ყველაზე გარიყული, უგულებელყოფილი და მიტოვებული რესურსია ბავშვთა თამაშის, სწავლებისა და განვითარების კურიკულუმში. ხოლო Nature Deficit Disorder (ბუნების დეფიციტის აშლილობა), წამოყენებული ჟურნალისტის და მკვლევრის რიჩარდ ლუვის (Richard Louv) მიერ მის საავტორო წიგნში „უკანასკნელი ბავშვი ტყეში“ (Loun 2005), აღწერს მას, როგორც სოციალურ შედეგს და ფენომენს, რომელიც ბუნებაში ყოფნის დანაკლისმა შექმნა. ეს ფენომენი, განსაკუთრებით ბავშვთა ადრეულ ასაკში, 70%-ით განსაზღვრავს ადამიანის ფუნდამენტური უნარების განვითარებას.

ამ გამოწვევის საპასუხოდ, 2020 წელს დაარსდა ბუნებარეს ტყის ბაღი, რითაც ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა ბავშვებისთვის გარე განათლების დასაბრუნებლად; ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვა პერიოდში გაიარა. ბუნებარეს გამოჩენას კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, გულითადად მიესალმნენ მსოფლიოს ტყის ბაღები.

ტყის ბაღის ინოვაციური პედაგოგიკა სწავლა-სწავლების მთლიან პროცესს მოიაზრებს გარე სივრცეში, ბუნებრივ გარემოში, როგორიც არის ტყე და ტყე-პარკები. ის იძლევა საშუალებას, ბავშვთა განვითარების ადრეულ ეტაპზე, მწვანე სივრცეები იქცეს განათლების მიღების პლატფორმად; რეკრეაციული ზონები გარდაიქმნას ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოდ, რათა ხელი შეეწყოს ბავშვთა ჰოლისტურ განვითარებას, შენობის, კედლებისა და საზღვების გარეშე.

ტყის ბაღი უზრუნველყოფს ბუნების შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენებას ბავშვთა ინდივიდუალური სწავლებისას, ხოლო უწყვეტი კვლევითი სწავლება ჯანსაღ გავლენას ახდენს აღსაზრდელების კოგნიტურ, ფიზიკურ, სოციო-ემოციურ და მენტალურ განვითარებაზე.

ბუნებარეს ძირითადი ინტერესია, დაეხმაროს ადრეული განათლების პრაქტიკოსებს, თერაპევტებს, სპეციალისტებსა და მშობლებს ბავშვთა განვითარების ხელშეწყობაში, გარე განათლების მოდელის საშუალებით.

ბუნებარემ ხელი შეუწყო განათლების სისტემაში გარე განათლების საჭიროების შესახებ დისკუსიის წამოწევას, მხარდაჭერას, პოპულარიზაციას და პრაქტიკის დანერგვას. დღესდღეობით ბუნებარემ 100-ზე მეტი აღსაზრდელის ბავშვობაში და გარე განვითარებაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, მათ შორის, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის კუთხით. აუტისტური სპექტრის მქონე და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ გარე განათლების გარემო და მიდგომები.

ტყის პედაგოგიკის უნივერსალური სწავლების მეთოდი ყველა ბავშვისთვის აღებს კარს და ეხმარება მათ მეტყველების, ქცევის, სენსორული დეფიციტის, მოტორული უნარების, ADHD (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი) და სხვა მრავალი გამოწვევის გადალახვასა და დაბალანსებაში.

სწორედ ამიტომ, ტყის პედაგოგიკის ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის პოლიტიკაში, ჯეიმსი მის წიგნში „ტყის სკოლა და აუტიზმი" (Michael James, 2018) მთლიანად ეხება იმ თემას, რომ ტყის პედაგოგიკა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც რაიმე იზოლირებული აქტივობა, არამედ აუცილებელია გახდეს ბავშვის განათლებისა და მხარდაჭერის ჰოლისტური ნაწილი. ჯეიმსის წიგნი სრულად ეძღვნება ტყის პედაგოგიკისა და აუტიზმის კორელაციის შესაძლებლობებს, რომელსაც ტყის პედაგოგიკის წიაღში იპოვით.

მსოფლიოს ტყის პედაგოგიკის წარმოშობის ისტორია

მთელ მსოფლიოში ტყის ბაღები მიჩნეულია ინოვაციური პედაგოგიკის სივრცეებად. როგორც დასტურდება, ეს მოდელი სკანდინავიურ ქვეყნებში 1950 წლიდან არსებობს. 1960 წელს უკვე საყოველთაოდ იქნა აღიარებული. 1980-იანი წლებიდან ტყის ბაღის მოდელი დანიური კურიკულუმის ნაწილი გახდა. აქაც მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი სივრცეების გამოყენება განათლების მისაღებად. დანიური მოდელით მოხიბლულმა ბრიტანელებმა, 1990-იან წლებში ტყის პედაგოგიკის ბაღის მოდელი თავის ქვეყანაში დანერგეს. გერმანიაში, დღეის მონაცემებით, 700-ზე მეტი ტყის ბაღი ფიქსირდება. ამ ქვეყნების რიცხვს ემატება სხვა ევროპული სახელმწიფოები, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და ავსტრალია.

საერთო ფილოსოფიის მიუხედავად, ტყის ბაღები ერთმანეთისგან მაინც განსხვავდებიან. არ არსებობს ქვეყნად ერთნაირი ტყის ბაღები! ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ყველა ქვეყანას თავისი კულტურული მრავალფეროვნება გააჩნია. ერთადერთი, რაც ამ ბაღებს აერთიანებს, არის მაღალი სოციალიზაციის, ჰოლისტური კურიკულუმი ყველა ბავშვისთვის.

ტყის ბაღის სწავლების მოდელი და ფილოსოფია

ტყის პედაგოგიკას ზოგჯერ „ტალახიან პედაგოგიკასაც" უწოდებენ, ვინაიდან მისთვის ბუნებრივია ისეთი აქტივობები, როგორიცაა ხეზე ცოცვა, ტალახში თამაში და ზოგადად, თამაში ბუნებრივი რესურსების გამოყენებით. სამწუხაროდ, არსებობს საერთო ტენდენციაა, რომლის მიხედვითაც, ბავშვებს აკრძალული აქვთ „დასვრა" ან სარისკო თამაშებში მონაწილეობა. მშობლებმა უნდა შეძლონ და აღიარონ ჯანსაღი ბავშვობის ბუნებრივი ელემენტები. თამაში – ეს ხომ ბავშვების „ბუნებრივი ოკუპაციაა!" მით უმეტეს, ტყის წიაღში მხოლოდ დამკვირვებლად ყოფნა შეუძლებელია. ბუნების სივრცე წამყვანი სენსორული გარემოა და ხასიათდება უამრავი განმავითარებელი ელემენტით, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ფუნდამენტურ საჭიროებებს. სტიმულის მიმცემი გარემო, რომელსაც ტყის ბაღი უზრუნველყოფს, ქმნის ბავშვობის საუკეთესო მოგონებებს.

აქედან გამომდინარე, ტყის პედაგოგიკა ბავშვზე კონცენტრირებული მიდგომაა, რომელიც სავსეა აღმოჩენებით, კვლევითი საქმიანობით და წარმოსახვის უშრეტი შესაძლებლობებით. გარემოს ცენტრალური და წამყვანი ფიგურა ბავშვია, ტყის პედაგოგები კი მზად არიან ფასილიტაცია გაუწიონ მათ და დაეხმარონ ამ შესაძლებლობების აღმოჩენაში.

სწავლების ამ ფილოსოფიით აქტიურდება ყველა შეგრძნების ელემენტები; აქტივობების შერჩევა ხდება ბავშვთა საჭიროებიდან გამომდინარე, შერეული ჯგუფების მოდელი კი აძლიერებს სოციალიზაციის, თანასწორობის, მიმღებლობისა და ემპათიის უნარებს.

ბუნებარეს პრაქტიკა მოიცავს 2-6 წლის ასაკის ბავშვთა შერეულ ჯგუფებს, რომლებთანაც ტყის ბაღის 3 პედაგოგი მუშაობს. ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობაა 12.

აქტიური სწავლება მიმდინარეობს ნებისმიერ ამინდში და ნებისმიერ სეზონზე. ტყის ბაღების სლოგანია: „არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს შეუსაბამო ტანსაცმელი!“.

ტყის ბაღის დახმარებით, გარე განათლება ამკვიდრებს ცოდნას გარე სივრცეებთან მიმართებაში, მათ შორის, ჩაცმის კულტურას სხვადასხვა ამინდის პირობებში; ადგილის შესწავლისა და რისკების შეფასების უნარებს; თანამშრომლობს მშობლებთან გარე განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით და ა.შ.. ყველა ეს ნაბიჯი, საშუალებას მისცემს ზრდასრულებს, თავადვე მისცენ ბავშვებს სტიმული, რომ ჩაერთონ გარე აქტივობებში და მაქსიმალურად გაიხანგრძლივონ ბავშვობა ყოველგვარი განსჯისა და შეზღუდვის გარეშე.

ტყის პედაგოგიკას მრავალი განსაზღვრება შეიძლება მიესადაგოს, შესაბამისად, ყველა ავტორი თავისებურად განსაზღვრავს მას, თუმცა, ერთ საკითხში ყველა თანხმდება – ეს არის უზღვავი რესურსის გამოყენება იმისთვის, რომ ბავშვებმა, მათი ტემპისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აღმოაჩინონ საკუთარი თავი.

ტყის პედაგოგიკის ცენტრალური პრინციპები

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პედაგოგიკა, ტყის პედაგოგიკაც თავისი პრინციპებითა და ღირებულებებით ხასიათდება. გამოყოფენ 6 ცენტრალურ პრინციპს:

1. ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც ხასიათდება რეგულაციური სესიებით ბუნებრივ, უმთავრესად კი, ტყის გარემოში. შესაბამისად, ერთჯერადი ვიზიტები არ ახასიათებს. ტყეში ტრანზიცია, დაგეგმარება, დაკვირვება და რეფლექსია მასში შემავალი ელემენტებია.
2. სწავლება ხორციელდება ტყის გარემოში და მის მიზანს წარმოადგენს ბავშვის ბუნებასთან დაკავშირება. შედეგად კი ვიღებთ ემოციური ინტელექტის განვითარებას და ეკოლოგიური ინტელექტის ამაღლებას.
3. ჰოლისტური მიდგომებით ტყის პედაგოგიკაში, ბავშვები ივითარებენ გამძლეობას, დამოუკიდებლობას, წარმოსახვას და მაღალ სოციალურ უნარებს.
4. ტყის ბაღები წარმოუდგენელია რისკიანი თამაშების გარეშე; აქ მათ აქვთ შესაძლებლობა, გამოსცადონ თავი გეგმიურ და მხარდაჭერილ რისკიან თამაშებში, ისწავლონ პრობლემების გადაჭრა და აიმაღლონ თვითრწმენა.
5. პროგრამას უძღვებიან გარე განათლების მიმართულებით ტრენინგგავლილი ტყის ბაღის პედაგოგები და სუპერვიზიას უწევენ ტყის პედაგოგიკის სერტიფიცირებული პრაქტიკოსები.
6. ტყის პედაგოგიკა იყენებს, განვითარებისა და სწავლების მედეგობის მხრივ, მრავალ ბავშვზე კონცენტრირებულ პროცესს,

აღსანიშნავია ისიც, რომ ტყის ბაღები, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, მუდმივ მონიტორინგს უწევენ პოზიტიურ, ეკოლოგიურ ზეგავლენას, რითაც მხარს უჭერენ ადგილის მდგრად განვითარებას. შესაბამისად, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და ეკოლოგიური გარემოს ხელშეწყობა მათი ბუნებრივი მოცემულობაა.

ტყის პედაგოგიკისგან მიღებული სარგებელი

ტყის პედაგოგიკის შესაძლებლობები პირველივე დღიდან შეიმჩნევა, მათ შორის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალურ-ემოციური უნარების კუთხით.

ფიზიკური განვითარება – ჯანსაღი ცხოვრებისა და ფიზიკური განვითარებისთვის აუცილებელია, ბავშვებმა იმოძრაონ. ტყის პედაგოგიკაში არ არსებობს ტერმინი „ცელქი“, „მოუსვენარი“ ან „დაუდგრომელი“. პირიქით, ტყის პედაგოგიკა სწორედ ისეთ არეალს უქმნის ბავშვებს, როგორიც მათ სჭირდებათ ენერგიის დასახარჯად. სირბილი, ხეზე ცოცვა და სხვა აქტივობები ავითარებს ძვლებს, კუნთებს, ვიზუალურ-მოტორულ კოორდინაციას, ნატიფ და მსხვილ მოტორულ უნარებს, ბალანსსა და ზოგად კოორდინაციას. ეს ყოველივე კი წინარე მოსამზადებელი უნარებია იმისთვის, რომ ბავშვებმა მარტივად, ზედმეტი ძალდატანების გარეშე შეძლონ კალმის დაჭერაც კი. ამასთან, აქტივობებში შემოტანილი მიწა და ზოგადი ბუნებრივი რესურსები (ტოტები, ფოთლები, ტალახი, ქვები და სხვა), საკუთარი მიკრო-ორგანიზმების შემცველობით, აძლიერებს სერატონინის გამოყოფას, რაც მენტალურ ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული.

კოგნიტური უნარები – ბავშვები ყველაზე ადვილად მაშინ სწავლობენ, როდესაც პროცესების უშუალო თანამონაწილენი არიან. შესაბამისად, ტყის ბაღებში არ გამოიყენება ტექნოლოგიები, პირიქით; მათი ცნობისმოყვარეობა და კითხვები გარე სამყაროსთან მიმართებაში მხარდაჭერილია ტყის პედაგოგების მიერ. ყველა აქტივობისას ხდება რეფლექსია, რითაც გამოცდილება მეხსიერებაში რჩება. ბავშვები ივითარებენ გადაწყვეტილების მიღების უნარს; დაგეგმვის ხელოვნებას და მიზნების დასახვას. ტყის პედაგოგები კი უზრუნველყოფენ, რომ მიზნები დაისახონ მათი შესაძლებლობების მიხედვით, რაც მიღწევის პროცესს ხალისიანს და ლაღს ხდის. შედეგად ბავშვებს თავდაჯერება და თვითრწმენა უორმაგდებათ. ვინაიდან გარე სივრცეში წახალისებულია ბუნებრივი რესურსით შექმნილი ხელნაკეთი სათამაშოები, აღსაზრდელებს ეძლევათ შესაძლებლობა, იყვნენ პროცესის შემქმნელები, გამოიყენონ წარმოსახვა და კრეატიული უნარები.

სოციალურ-ემოციური უნარები – ტყის პედაგოგიკაში ყველა ბავშვს ეძლევა საშუალება, მისი შესაძლებლობებისა და დროის შესაბამისად იმოქმედოს. რამდენადაც აქ სოციალიზაცია ფუნდამენტურ როლს თამაშობს, გათვალისწინებულია ის მახასიათებლებიც, რომლებიც მას მარტო ყოფნის დროს სჭირდება. ბუნებისგან მიღებული თერაპიული რესურსის წყალობით, ბავშვებს ნაკლები სტრესი აქვთ, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ნდობაზე, თვითრეგულაციაზე, ემოციურ ბალანსსა და კეთილდღეობაზე. ტყის პედაგოგიკა წაახალისებს ბავშვებში გუნდურობის უნარების გაძლიერებას, პოზიტიურ ურთიერთობებს მეგობრებთან და პედაგოგებთან. ბავშვები სწავლობენ პატივისცემას ბუნების მიმართ, მისი უშრეტი რესურსებით საუკეთესო მოგონებების შექმნას და ჯანსაღი ბავშვობის გახანგრძლივებას.

ბუნებარეს ტყის ბაღში ადამიანურ ღირებულებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უფროსები ყოველთვის იძლევიან როლურ მაგალითს, როგორ მოუსმინონ ერთმანეთს; გააძლიერონ ერთმანეთი და გაუწოდონ დახმარების ხელი.

ბავშვებს სჭირდებათ გვერდით ის ადამიანი, რომელიც მათთან ერთად იხტუნებს გუბეში, ითამაშებს ტალახში და, ამასთანავე, იქნება გულისხმიერი პედაგოგი.

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ – ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲗᲔᲠ ᲥᲕᲘᲜᲘᲩᲘᲫᲔ
ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲨᲝᲜᲘᲐ
ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ „ᲒᲔᲝᲛᲔᲓᲘ“, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲔᲑᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ (International Kindergarten Union) ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ, ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘᲡ/ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲣᲭᲔᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ – ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲘᲧᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲓᲐ ᲮᲐᲖᲡ.

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 20-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲛ (NANE), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲓ (NAEYC) ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ, �გᲐᲛᲝᲡᲪᲐ „ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ“ (NANE, 1930). ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ (NAEYC) ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲘᲛ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐ 1986-1987 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ, ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐ�გᲜᲐᲓᲐᲪ ᲘᲥᲪᲐ. [ᲝᲚᲓᲠᲘᲯᲘ/Aldridge...2002:99]

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲡ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 1899 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲢᲔᲜᲚᲘ ᲰᲝᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲝᲠ ᲢᲝᲛᲐᲓ „ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ“. 1944 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲖᲔ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲡᲐᲙᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 50 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲗᲣ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲦᲬᲔᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ. 1981 ᲬᲔᲚᲡ ᲗᲝᲠᲜᲑᲣᲠᲒᲛᲐ ᲓᲐᲐᲐᲠᲡᲐᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘ“. ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲛ (ACEI) ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ ᲐᲜᲣ „ᲒᲕᲘᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐᲡ“ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ

სწავლების ცნება მაინც ძირითადად ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებას უკავშირდებოდა.

აღნიშნული მიმართულებისადმი გამოკვეთილმა ინტერესმა მრავალ კვლევას ჩაუყარა საფუძველი. ჩატარებულმა კვლევებმა ავტორებს საშუალება მისცა, გაეკეთებინათ კონკრეტული დასკვნები, რომლებიც ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებაში განვითარების დონის შესაბამისი სწავლებისა და „ჩვეული" სასწავლო პრაქტიკის განხორციელების შედეგების შედარებას უკავშირდებოდა. [ჩარლზვორთი/ Charlesworth,1998:77] 1998:77]

ქვემოთ მოგვყავს კვლევების ზოგიერთი შედეგი:

- ის ბავშვები, რომელთა ჯგუფებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა განვითარების დონის შესაბამისი სწავლების პრინციპებს, უფრო ხშირად ავლენდნენ სტრესით გამოწვეულ ქცევებს, ვიდრე ის ბავშვები, რომელთა სწავლებაც განვითარების დონის შესაბამისი მიდგომისა და მეთოდების მიხედვით ხორციელდებოდა.
- განვითარების დონის შესაბამისი სწავლების მეთოდებით მომუშავე ჯგუფების ბავშვები შედარებით მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს და უკეთეს ყოფაქცევას ამჟღავნებდნენ დაწყებითი სკოლის შემდგომ საფეხურზე, საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეებთან შედარებით.
- აღნიშნული ჯგუფების მოსწავლეებს უკეთ ჰქონდათ შეთვისებული როგორც სასწავლო და სამუშაო, ასევე სოციალური უნარ-ჩვევები.

მოკლედ განვიხილოთ განვითარების დონის შესაბამისი სწავლების ძირითადი მახასიათებლები:

ბავშვის აღქმა მთლიანობაში

ამგვარი მიდგომის მიხედვით ითვლება, რომ ფიზიკური, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი განვითარება ერთმანეთთან კავშირშია და ურთიერთზემოქმედებს. სასწავლო გამოცდილება აღიქმება, როგორც აღზრდა-განვითარების ინტეგრირებული შესაძლებლობა და არა როგორც ცალკეული უნარების ან შინაარსის ათვისების პროცესი. [გესტვიკი/ Gestwivki,1999:9]. აღნიშნული მიდგომის განხორციელებისას, ფართოდ გამოიყენება ინტეგრირებული სწავლება თემატური პრინციპის მიხედვით, რომელიც განვითარების სხვადასხვა სფეროს დაკავშირების საშუალებას იძლევა.

სწავლება ინდივიდუალიზაციის პრინციპით

თითოეულ ბავშვს განსხვავებული ძალისხმევა და დრო ესაჭიროება კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად. ეს მაჩვენებლები განვითარების სხვადასხვა სფეროს მიხედვითაც იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარდა იმისა, რომ ბავშვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ერთი და იგივე ბავშვის შემთხვევაშიც კი არსებობს განსხვავებები განვითარების სფეროეების მიხედვით. მასწავლებლები, რომლებიც სათანადოდ აცნობიერებენ ამ განსხვავებების მნიშვნელობას, ბავშვებისათვის სწავლების ინდივიდუალიზაციას ახდენენ.

სწავლებისწინანრე ცოდნის გათვალისწინება

აღნიშნული მიდგომის განხორციელების პირობებში, ახალი სასწავლო მასალის გადაცემისათვის მზადებისას, აღმზრდელებმა/მასწავლებლებმა ბავშვების უკვე არსებული ცოდნა/გამოცდილება უნდა გაითვალისწინონ, მით უფრო, რომ ბავშვები განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ კონტექსტში/ გარემოში იზრდებიან.

აქტიური სწავლა

ადრეულ ასაკში ბავშვების სწავლა-განვითარებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ე.წ. „ხელშესახები" გამოცდილება, ანუ ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ბავშვები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო საქმიანობაში და ამასთან ერთად, შეხება აქვთ კონკრეტულ რეალურ მასალასთან, რადგან ამ ასაკის ბავშვები გარემოსთან უშუალო ურთიერთობით უკეთ სწავლობენ. ამიტომ განვითარების დონის შესაბამისი სწავლება უპირატესობას კონსტრუქტივისტულ მიდგომას ანიჭებს.

საკითხის/თემის სიღრმისეული შესწავლა

აღნიშნული მიდგომის მიხედვით,რაც უფრო ნაკლებად ფრაგმენტულია სასწავლო დღე, მით უფრო სასურველი აკადემიური შედეგი მოაქვს მას. შესაძლოა ბავშვებმა ნაკლები საკითხი ან თემა შეისწავლონ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს საკითხები სიღრმისეულად გაავრცონ და დაამუშაონ.

სწავლა თამაშით და მისი მნიშვნელობა

აღნიშნული ასაკის ბავშვებისათვის პროდუქტიულია სწავლა თამაშით. ამგვარი მიდგომა სასურველ შედეგებს იძლევა არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ სოციალური, ემოციური და მეტყველების განვითარების თვასაზრისით. ითვლება, რომ აღმზრდელის/მასწავლებლის მიერ წარმართული საგანმანათლებლო თამაში განვითარების დონის შესაბამისი სწავლების პრინციპებზე აგებული სასწავლო პროგრამის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

მასწავლებელი, როგორც გადაწყვეტილების მიმღები

აღნიშნული სასწავლო მიდგომის განხორციელების დროს, მასწავლებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს. ამ დროს მასწავლებლები პროგრამის სახელმძღვანელო პრინციპებს ეყრდნობიან. ამასთან ერთად, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე ინფორმაცია ბავშვებისა და კონკრეტული კონტექსტის/სიტუაციის შესახებ და ყოველივე ამის გათვალისწინებით მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

მშობელთა მონაწილეობა

განვითარების დონის შესაბამისი სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მშობელთა ჩართულობა წარმოადგენს. ამგვარი პროგრამა მიესალმება მშობლების აქტიურ თანამშრომლობას და მათ წვლილს ბავშვებისათვის საუკეთესო სასწავლო პრაქტიკის შექმნისა და განხორციელების საკითხში.

განვითარების დონის შესაბამისი სწავლება ძირითადად ჟან პიაჟეს, ლევ ვიგოტსკის და ერიკ ერიკსონის თეორიებს ეფუძნება. მიუხედავად ამ თეორეტიკოსების თვალთახედვაში არსებული გარკვეული განსხვავებებისა, აღნიშნული მიდგომა, ზოგადად, ბავშვის განვითარების უნივერსალურ პრინციპებს ეყრდნობა და მის უპირველეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მისი განხორციელება საგანმაანთლებლო პროცესში არა მხოლოდ ასაკობრივი, არამედ ინდივიდუალური განვითარების დონის გათვალისწინებასაც გულისხმობს.

განვითარების დონის შესაბამისი სწავლება დიდწილად იზიარებს პროგრესული განათლების თეორიას. ამერიკელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და განათლების რეფორმატორის ჯონ დიუის აზრით, რომელიც პროგრესული განათლების მიმდინარეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება, განათლების პროცესი ცხოვრებისათვის მზადება კი არა, თავად ცხოვრების ნაწილია. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, სასწავლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვთა საჭიროებებს მათი გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი სრულყოფის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა ქმნიდეს საფუძველს, რომ სკოლა ბავშვებისთვის სასიამოვნო და მიმზიდველ ადგილად იქცეს.

საკითხისა თუ თემის სიღრმისეული შესწავლა და სწავლის პროცესის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება ყოველთვის წარმოადგენდა პროგრესული განათლების ამოსავალ წერტილს. მოგვიანებით, აღნიშნულ მიდგომას უილიამ კილპატრიკმა „პროექტის მეთოდიც“ კი უწოდა [კაც/Kats 2000:48]. პროექტებზე მუშაობის დროს თემა თუ საკითხი არაერთი კუთხით და სიღრმისეულად განიხილება, თემები კი ხშირად ბავშვების ინტერესების გათვალისწინებითაა შერჩეული. ბავშვები პატარა ჯგუფებად მუშაობენ და თემის სხვადასხვა ასპექტს ამუშავებენ, გამოაქვთ დასკვნები და მრავალფეროვან საშუალებებს იყენებენ იმის გადმოსაცემად, რაც ისწავლეს. ამ პროცესში მოსწავლეები არა მხოლოდ ცოდნას იძენენ, არამედ იმ უნარ-ჩვევებსაც ეუფლებიან, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდებათ. პროგრესული განათლების მიმდევრების აზრით, ცხოვრება განვითარებაა, ამიტომ გა-

ნათლების პროცესი უწყვეტია; სწავლის წყურვილსა და მოტივაციას კი ადრეულ ასაკშივე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

განვითარების დონის შესაბამისი სწავლებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს. კრიტიკოსები გამოთქვამენ აზრს, რომ ეს მიდგომა ყველა კონტექსტსა თუ კონკრეტულ სიტუაციაში ერთნაირად სასარგებლოდ არ მუშაობს და უპირატესობას ტრადიციულ, ჩვეულ სასწავლო პრაქტიკას ანიჭებენ. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მრავალი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სწორედ განვითარების დონის შესაბამისი სწავლება მოიაზრება საუკეთესო მიდგომად 10 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების თვალსაზრისით. ბავშვობის ამ პერიოდს ხშირად ტვინის "შესაძლებლობების ფანჯრად" და განვითარების სენზიტიურ პერიოდადაც მოიხსენიებენ, რომლის განმავლობაშიც ბავშვები ყველაზე უკეთ სწორედ ექსპერიმენტირებისა და რეალურ გარემოსთან უშუალო ურთიერთობის მეშვეობით სწავლობენ. მკვლევრების აზრით, ამ პერიოდში განსაკუთრებით პროდუქტიულია თანამშრომლობა და ორმხრივი პასუხისმგებლობა. ეს პრინციპები კი განვითარების შესაბამის სწავლებას უდევს საფუძვლად. ყურადსაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიდგომის დროს, არა მხოლოდ მოსწავლეები მოიაზრებიან შემსწავლელებად, არამედ მასწავლებლებიც მუდმივად იმდიდრებენ ცოდნას, რასაც საკითხისა თუ თემისადმი სიღრმისეული მიდგომა და განვითარების დონის შესაბამისი სწავლების სხვა მახასიათებლები განაპირობებს.

ბოლო ხანებში ხშირად ექცევა ყურადღება სწავლის სხვადასხვა სტილსაც, რომლის სასწავლო პროცესში გათვალისწინება აღიქმება, როგორც ინდივიდუალური განვითარების ხელშემწყობი გარემოება. ასე მაგალითად, გარდნერი აღწერს სხვადასხვა სახის ინტელექტს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა, მოსწავლეების სწავლის სტილის გათვალისწინება მათთვის სხვადასხვა სასწავლო აქტივობის დაგეგმვითა და განხორციელებით. ისევე, როგორც მრავალ სხვა თვალსაზრისს, ამგვარ მიდგომასაც ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები.

აღმზრდელების/მასწავლებლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბავშვები სხვადასხვაგვარად აღწევენ სასურველ სასწავლო შედეგს. ზოგიერთი საუბრის, მოსმენისა და კითხვების დასმის მეშვეობით ითვისებს უკეთ, მათემატიკაში სასურველი შედეგის მისაღწევად კი მათემატიკური კონცეფციების რეალურ სიტუაციებთან დაკავშირება სჭირდება; ზოგი დამოუკიდებლად მუშაობას, კითხვასა და მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდებას არჩევს; მესამე კატეგორიის მოსწავლეები უპირატესობას კონკრეტულ დავალებებს, მათი ჩაბარების ზუსტ ვადებსა და ფიზიკურ აქტივობას ანიჭებენ; ხოლო სხვები, რომლებსაც „რისკზე წამსვლელებადაც" მოიხსენიებენ, უკეთ სწავლობენ, როდესაც თავადაც იკვლევენ და სვამენ კითხვებს [მაკარტი/McCarthy 1997:19].

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ აზროვნების განვითარებისათვის სასარგებლოა, როდესაც მასწავლებლები, გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეებს ფაქტების გახსენების, ანალიზის, შედარების, შეფასების, მსჯელობის, წარმოსახვისა და შემოქმედებითი მიდგომის გამომჟღავნების, ექსპერიმენტირებისა და აქტივობების პრაქტიკულად განხორციელების საშუალებას აძლევენ. ასეთ შემთხვევაში ბავშვის მთლიანობაში წარმოჩენა ხდება და, როგორც სტრენბერგი აღნიშნავს, ათასობით ბავშვს ექმნება პირობები საკუთარი ნიჭისა და პოტენციალის გამომჟღავნებისათვის, რაც სხვა შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა.

თეორეტიკოსები, ისევე, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლები, ბავშვთა აზროვნების უკეთ განვითარებისა და ხარისხიანი სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის გვირჩევენ, რომ:

- შევქმნათ წყნარი, მღელვარებისაგან მაქსიმალურად დაცული და კომფორტული სასწავლო გარემო
- არ დავამკვიდროთ „იარლიყები" ბავშვების დასახასიათებლად; უზრუნველვყოთ მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა

- გამოვიყენოთ თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგიები, წყვილებში და პატარა ჯგუფებში მუშაობა, მსჯელობა და დებატები, როლური თამაშები
- დავუკავშიროთ ახალი სასწავლო მასალა და ინფორმაცია იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეებს უკვე გააჩნიათ
- მოვუყვეთ მოსწავლებს მოთხრობები, სხვადასხვა ისტორია და მათზე სასწავლო აქტივობებიც ავაგოთ
- განვახორციელოთ „ხელშესახები", პრაქტიკული სასწავლო აქტივობები
- სასწავლო პროცესში ჯეროვანი ყურადღება დავუთმოთ მუსიკას და ხელოვნების აქტივობებს
- ვიმუშაოთ გრძელვადიან პროექტებზე, რომლის დროსაც ხდება საკითხისა თუ თემის მრავალმხრივი და სიღრმისეული შესწავლა
- საკლასო ოთახი ვაქციოთ ლაბორატორიად, სადაც მოსწავლეებს ექსპერიმენტირების, პრობლემების გადაჭრისა და დასკვნების გამოტანის საშუალება ექნებათ
- სწავლებისას გასაქანი მივცეთ არა მხოლოდ ბავშვების, არამედ საკუთარ წარმოსახვასა და შემოქმედებითობასაც
- ვითანამშრომლოთ კოლეგებთან, რათა ერთმანეთს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები თუ პრობლემები გავუზიაროთ
- გამოვიყენოთ შეფასების არატრადიციული საშუალებებიც, მაგალითად, პორტფოლიოები, დაკვირვების შედეგად შედგენილი ჩანაწერები და სხვ. ყურადღება, პირველ რიგში, მოსწავლის ძლიერ მხარეზე გავამახვილოთ [ოლდრიჯი/Aldridge, 2002:932002:93]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად უცხო არ არის ნებისმიერი მიდგომის მიხედვით განხორციელებული სასწავლო პროცესისათვის, ყოველივე ზემოჩამოთვლილი სრული სახით მაინც განვითარების დონის შესაბამისი სწავლების კომპონენტებად ან სახელმძღვანელო პრინციპებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც საშუალებას აძლევს როგორც თეორეტიკოსებს, ასევე პრაქტიკოს მასწავლებლებს, საკუთარი შეფასება მისცენ აღნიშნულ მიდგომას.

აზრთა სხვადასხვაობის გამო, ძნელია ცალსახად ითქვას, თუ როგორი იქნება განვითარების დონის შესაბამისი სწავლების პერსპექტივა მომავალში, რადგან ისევე, როგორც სხვა მიდგომებს, აღნიშნულ მიმართულებასაც ჰყავს თავისი მომხრეები და ოპონენტები. ასეა თუ ისე, როდესაც ახლებურ მეთოდებსა თუ მიდგომებს კრიტიკულად განვიხილავთ, ალბათ გასათვალისწინებელია ჰოვარდ გარდნერის სიტყვები: „თითქმის ყველაფერი, რასაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქვს ადგილი, უბრალოდ იმიტომ ხდება, რომ ასე ხდებოდა წლების განმავლობაში და არა იმიტომ, რომ მყარი არგუმენტები გაგვაჩნია იმისათვის, რათა მომავალშიც ასე გაგრძელდეს".

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ბრედკამფი; კოფლი/Bredkamp; Copple. 1997: S. Bredkamp; C. Copple. Developmentally Appropriate Practice and Early Childhood Programs. NAYEC. Washington,DC.
2. bredkamfi/Bredcamp. 1997: S. Bredcamp. NAYEC Issues Revised Position Statement on Developmentally Appropriate Practice in Early Childhood Programs. Young Childen. 52(2).34
3. diui/Dewey.1916: J. Dewey. Democracy and Education: An introduction to the Philosophy of Education. NY. The Free Press/ Macmillan
4. kac/Katz; Chard.1989: S.C. Katz, L.G. Chard. Engaging Children's Minds: the Project Approach. Norwood, NJ.
5. ოლდრიჯი, გოლდმენი/Aldridge;Goldmen.2002:J.Aldridge; R.Goldman. Current Issues and Trends in Education,Boston, MA
6. ueini/Wein.1995: C.A. Wein. Developmentally Appropriate Practice in Real Life. Stories of Teacher Practical Knowledge. New York, Teachers College Press.
7. ჩარლზვორთი/Charlesworth. 1998: R Charlesworth. Developmentally Appropriate Practice Is for Everyone. Childhood Education. 74(5).274-282.
8. ჰეჩი/Hatch. 1997: T Hatch. Getting Specific about Multiple Intelligences. Educational Leadership, 54.26-29.
9. Education Commission of the States. (ECS). 1998: Progress of Education Reform. 1998: Executive summary.

ინტერვიუ ქალბატონ თამარ სანიკიძესთან – პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (IBRD)“ ადმასრულებელ დირექტორთან

ქალბატონო თამარ, რა სახის დახმარებას მოიაზრებს მსოფლიო ბანკის პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (IBRD)“ სკოლამდელი განათლების სფეროში?

– ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. პროექტის ფარგლებში, ვეხმარებით სამინისტროს და მის ქვეუწყებებს ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა-განვითარებაში, რაც შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრას და ამოქმედების მხარდაჭერას მოიაზრებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ბაღებში, თვითშეფასებაზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის შიდა სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს და ზოგადად, ხარისხის კულტურის დამკვიდრებას ემსახურება. ეს იქნება უწყვეტი პროცესი, რომლის ფარგლებშიც ბაღის ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი, მათივე ჩართულობით, დასახული მიზნებისა და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიღწევისათვის იმუშავებენ. შიდა ხარისხის სისტემის მოწყობა, თავის მხრივ, დაკავშირებულია გარე ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ პოლიტიკასთან და განხორციელების მექანიზმების სპეციფიკასთან. ჩვენს შემთხვევაში ერთ-ერთ ასეთ მექანიზმად განიხილება ავტორიზაციის სტანდარტები, მათთან შესაბამისობის დადგენის პროცესი და ავტორიზაციის შემდგომი ქმედებები, ხარისხის კონტროლის ციკლი. გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი გარდამავალი პერიოდისთვის უკვე კანონითაა განსაზღვრული ავტორიზაციის სახით, რომლის განმახორციელებელიც არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; კვების მონიტორინგის ნაწილში – სურსათის ეროვნული სააგენტო; უსაფრთხოების ნაწილში – შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. პროექტის ფარგლებში, გარკვეული რესურსები მიმართულია ანგარიშგების სისტემის შემუშავებისთვის, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილს და ინტეგრირებული იქნება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მონაცემთა ანგარიშგების სისტემა იქნება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების მიღებისა და სექტორის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესებს. უნდა განისაზღვროს თუ რა სახის მო-

ნაცემები შეგროვდება, რა სიხშირით, ვის მიერ და როგორ აისახება სისტემაში. განისაზღვრება ხელმისაწვდომობის წესიც – ვის რა მონაცემებზე ექნება წვდომა და ა.შ..

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი და გამოწვევა, რომელსაც სამინისტრომ პროექტის საშუალებით უნდა უპასუხოს, ეხება სფეროში დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიულ განვითარებას და სახელფასო პოლიტიკის შემუშავებას. პროექტის ფარგლებში, ასევე, განახლდება სასკოლო მზაობის პროგრამები, მომზადდებიან პედაგოგები, აღიჭურვება საკლასო ოთახები და 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლის ბაზაზე საპილოტე რეჟიმში ამოქმედდება სასკოლო მზაობის კლასები.

რა სახის აქტივობები უძღვოდა წინ მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებას, გამოეყო დახმარება სკოლამდელი განათლების სფეროსთვის?

– აღნიშნული მიმართულებები შეირჩა სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე და გამომდინარეობს გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვიდან, რომელიც, ასევე, პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა. რაც შეეხება პროექტის დამტკიცებას, მას წინ უძღვოდა საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციები პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე. პრიორიტეტების დასადგენად, კონსულტაციების პროცესში, რა თქმა უნდა, ბანკის მიერ მოხდა ადრეული და სკოლამდელი განათლების სექტორის შესწავლა.

რამ განაპირობა ამ მხარდაჭერის აღმოჩენა საქართველოსთვის, რა წინაპირობა არსებობდა ამისათვის?

–საქართველოს მთავრობა წლების მანძილზე ცდილობს უპასუხოს სექტორში არსებულ გამოწვევებს. არაერთი აუცილებელი და საჭირო ქმედება განხორციელდა არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მათ შორის, მეტად მნიშვნელოვანი ინტერვენციები საკანონმდებლო დონეზე. თუმცა, ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი დღესაც მიმდინარეობს და ამ პროცესში მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ინსტიტუციის, მსოფლიო ბანკის რესურსის გამოყენება ცალსახად სასიკეთოა. ვფიქრობ, საქართველოს მთავრობამ სწორად დაინახა სექტორში არსებული საჭიროებები, რაც გახდა ამ მიმართულებების პროექტით გათვალისწინების მიზეზი და საფუძველი.

მსოფლიო ბანკის პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს. ვინ არიან სხვა პარტნიორები და მონაწილე ორგანიზაციები, რომლებიც პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებს განახორციელებენ?

– რატიფიცირებული საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, პროექტს ჰყავს ორი განმახორციელებელი – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. აღსანიშნავია, რომ ორივე განმახორციელებელს აქვს მკაცრად განსაზღვრული სამოქმედო არეალი, შესრულების ვადები, მონიტორინგის მექანიზმები და რესურსები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, პროექტის განხორციელებაში მონაწილეობს აგრეთვე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურული ერთეული—საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც პროექტში ფინანსური კონტრიბუციით შემოდის და აწესრიგებს სივრცეებს სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად წინასწარ შერჩეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ზოგადად, პროექტის განხორციელებაში მონაწილეობს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული და ორგანიზაცია, როგორიც არის გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

რა კონკრეტულ საქმიანობებს მოიცავს მსოფლიო ბანკის დახმარება? ვიცით, რომ სესხის ფარგლებში, მრავალი აქტივობა დაფინანსდება; მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი ეს აქტივობები და აქვს თუ არა სესხს გარკვეული ვადა?

— მსოფლიო ბანკის საქმიანობა განათლების თითქმის ყველა საფეხურს ფარავს. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, ჩვენ გვქონდა მოკლევადიანი აქტივობები, როგორიც არის სექტორის სიღრმისეული დიაგნოსტიკური კვლევა, განათლებისა და მეცნიერების გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობა და ა.შ.. თუმცა, ძირითადი დახმარება ორიენტირებულია სისტემურ ცვლილებებზე, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან ქმედებებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმდინარე გრძელვადიანი კონტრაქტი სექტორის გაძლიერებას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართვას, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიულ განვითარებასა და პროგრამების გაუმჯობესებას გულისხმობს. თავად სასესხო ხელშეკრულება 6-წლიანია და პროექტის განხორციელება უნდა დასრულდეს 2026 წლის მარტის ბოლომდე.

როგორ ფიქრობთ, როგორ დაეხმარება მსოფლიო ბანკის სესხი სკოლამდელ განათლებას? ამ სფეროს რომელ დარგებს შეეხება უპირველესად დახმარება?

— პროექტის მიზანია, დაეხმაროს მთავრობას სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ადრეული პერიოდიდან. ეს პრიორიტეტები და მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში, რომელიც ასევე პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები თანხვედრაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვებთან, სამოქმედო გეგმასთან. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ ძირითად მიმართულებებზე, რომელსაც პროექტი დაუჭერს მხარს. ამ ეტაპზე უკვე ვმუშაობთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონში შესული უახლესი ცვლილებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში დახმარების მიზნით, რაც გულისხმობს ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართვასა და განხორციელებას. პარალელურად სამუშაოები მიმდინარეობს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ანგარიშგების მექანიზმების განსაზღვრისა და ადმინისტრირების სისტემის ჩამოსაყალიბებლად. რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგთა სახელფასო პოლიტიკასა და სერტიფიცირებას, აქ მნიშვნელოვანი იქნება განათლებისა და მეცნიერების და ფინანსთა სამინისტროებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის კოორდინაციას და

ექსპერტულ მხარდაჭერას პროექტის რესურსებით უზრუნველვყოფთ.

აქვს თუ არა ანალოგი მსოფლიო ბანკის საქართველოს სკოლამდელი სფეროსთვის დახმარებას მეზობელ ქვეყნებში?

– მსოფლიო ბანკს ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მაგალითად, წარმატებული ინტერვენციები ჰქონდა თურქეთსა და უზბეკეთში, სადაც თვალსაჩინო შედეგებით განახორციელეს განათლების ამ საფეხურის გაუმჯობესების პროექტები.

რა მოლოდინები აქვს მსოფლიო ბანკის პროექტს სკოლამდელი განათლების სფეროსთან მიმართებაში?

–მსოფლიო ბანკი პროექტის მართვის გუნდისაგან მოელის შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შესაბამისი ხარისხით განხორციელებას. მსოფლიო ბანკი მკაფიოდ ხედავს განათლების ამ საფეხურის საჭიროებებს და რეგულარულად მართავს პროექტის განხორციელების მონიტორინგის მისიებს. მისიის ფარგლებში, იზომება იმ პერიოდისათვის მიღწეული შედეგი. ასევე, ზუსტდება სამოქმედო გეგმები. დიდი ყურადღება ექცევა შესრულების პროცესში სხვადასხვა მხარესთან კოორდინირებულ მუშაობას, დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, სამინისტროს მენეჯმენტის მხარდაჭერას და სხვა.

რა არის ის უახლოესი შედეგები, რასაც შეიძლება მიაღწიოს სფერომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის დახმარებით?

– პირველ რიგში, ეს არის კანონით აღებული, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, რაც დაკავშირებულია სისტემის მდგრად განვითარებასთან. უნდა შევქმნათ და ავამოქმედოთ სექტორში მოსაგროვებელი მონაცემებისა და დამუშავების მექანიზმები, რაც დღეს არ არსებობს; ასეთი მართვის სისტემის არარსებობის პირობებში კი, შეუძლებელია ისაუბრო ხარისხის უზრუნველყოფაზე. და რა თქმა უნდა, უნდა შევიმუშაოთ აღმზრდელ-პედაგოგთა ისეთი სახელფასო პოლიტიკა, რომელიც იქნება დაკავშირებული მათ პროფესიულ განვითარებასთან. ამასთან ერთად, პროექტის ბოლომდე გვექნება სხვადასხვა, შედარებით მცირე პილოტური პროექტის შედეგები, რომელიც სასკოლო მზაობის ხარისხთან და ხელმისაწვდომობასთან არის დაკავშირებული.

როგორ იქნება უზრუნველყოფილი სესხის დახმარებით მიღებული შედეგების მდგრადობა სკოლამდელი განათლების სფეროში?

– ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით მიღწეული შედეგები, როგორიცაა: სასკოლო მზაობის პროგრამების განახლება და მათი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიწოდების დანერგვა, ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავება, განათლების ამ სექტორის მონაცემთა ანგარიშგების სისტემის შემუშავება, სექტორში დასაქმებული პედაგოგების პროფესიული განვითარება და სრულიად პროექტის ფარგლებში შემუშავებული სისტემების დანერგვა, გრძელვადიან პერსპექტივას უკავშირდება. მდგრადობა, ზოგადად, გამოწვევაა არამარტო ამ სექტორისთვის და მისი უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება მთავრობის და კონკრეტულად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანმიმდევრულ პოლიტიკაზე. ვფიქრობ, ერთ-ერთი ხელშემწყობი ინსტრუმენტი არის სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მთავრობის მიერ არის დამტკიცებული.

MAC GEORGIA-ს მხარდაჭერა ადრეული ინკლუზიური განათლების მიმართულებით

MAC GEORGIA-ს შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის – საქართველო“ (MAC Georgia) ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, მათ ოჯახებს და მათთან დაკავშირებულ პირებს რამდენიმე მიმართულებით: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემისა და მათი ოჯახების გაძლიერება, საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბაღებისა და სკოლების) პროფესიული მხარდაჭერა, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების, აგრეთვე, მათთვის არსებული მომსახურების გამწევი ორგანიზაციებისა და პირებისათვის გაწეული კონსულტაცია, ორგანიზაციის ფსიქოლოგებისა და ოკუპაციური თერაპევტების მიერ როგორც პირისპირ, ისე ონლაინ პლატფორმების გამოყენებით.

MAC GEORGIA-ს საქმიანობა ადრეული განათლების მიმართულებით

ადრეული ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზაცია თანამშრომლობს ქვეყანაში ყველა სკოლამდელი განათლების დაწესებულებასთან, რელევანტურ უწყებებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან.

MAC Georgia დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა ტრენინგსა და კონსულტაციას.

ქვემოთ წარმოდგენილია MAC Georgia-ს მიერ შემუშავებული და დანერგილი ტრენინგ-მოდულები და მათი მოკლე აღწერა.

ადრეული ინკლუზიური განათლება (12 საკონტაქტო საათი)

ტრენინგ-მოდული შემუშავებულია დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების თავისებურებებისა და სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით და გამიზნულია სკოლამდელი დაწესებულებებისა თუ ადრეული ინტერვენციის მომსახურებაში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

მოდულის ამოცანაა, მონაწილეთა ცოდნის ამაღლება ინკლუზიური განათლების ხედვისა და ძირითადი პრინციპების, განვითარების სხვადასხვა დარღვევისა და ემოციური სფეროს აშლილობების, ბავშვებთან და მშობლებთან ეფექტური მუშაობისთვის საჭირო რეკომენდაციების შესახებ.

აღნიშნული ტრენინგ-მოდულის საფუძველზე შექმნილია, ამავე სახელწოდების დისტაციური სასწავლო კურსი, რომელიც განთავსებულია **ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

ელექტრონული სწავლების პორტალზე; კურსი „ადრეული ინკლუზიური განათლება“ დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ დისტანციურ ფორმატში.

კურსის გავლის მსურველებს, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულებებისა თუ ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების სპეციალისტებს, რეგისტრაციის შემდგომ, მათთვის სასურველ ვადაში შეუძლიათ კურსის დახურვა. კურსში შემავალი თემები გარკვეული თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი. თითოეული თემა მოიცავს საკითხავ მასალას, ვიდეო ლექციას და შუალედურ ტესტს. მას შემდეგ, რაც მონაწილე ყველა თემას გაეცნობა და თემის შესაბამის შუალედურ ტესტებს წარმატებით ჩააბარებს, შეძლებს ფინალურ გამოცდაში მონაწილეობის მიღებას და კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიიღებს დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ქცევის მართვა (8 საჯონფაქტო საათი)

აღნიშნული ტრენინგ-მოდული ასახავს ბავშვის პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს და განკუთვნილია ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებისათვის, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულებებისა თუ ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების სპეციალისტებისათვის.

მოდულის ამოცანაა მონაწილეთა ცოდნის ამაღლება პრობლემური ქცევის მიზეზების, მიზნების, ქცევის შეფასებისა და ჩარევის სტრატეგიების შესახებ.

სკოლამდელი განათლების მხარდამჭერი სუპერვიზიის მრეჯეჯადიანი პროგრამა

2022 წელს ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი პროგრამა სკოლამდელი დაწესებულების სპეციალისტებისათვის და პროგრამის პილოტირებას ამჟამად თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ახორციელებს. პილოტირების დასრულების შემდეგ, მომავალი წლიდან იგეგმება სხვა დაინტერესებული სკოლამდელი დაწესებულებების შერჩევა და მათი მხარდაჭერა.

პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან. თეორიული ნაწილი შედგება ოთხი მოდულისგან:

1. ადრეული ინკლუზიური განათლება;
2. ქცევის მართვა;
3. წინაკადემიური უნარების განვითარება და ტრანზიციის დაგეგმვა;
4. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები.

პრაქტიკული ნაწილი კი MAC Georgia-ს ფსიქოლოგებისა და ოკუპაციური თერაპევტების მიერ, სკოლამდელი დაწესებულებების საგანმანათლებლო პერსონალისა და ინკლუზიის მხარდამჭერი სპეციალისტებისთვის, მათ სამუშაო ადგილზე, სუპერვიზიის გაწევას გულისხმობს.

მულენი - ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალა (MULLEN SCALES OF EARLY LEARNING)

MAC Georgia-ს ერთ-ერთი მიზანია, სხვადასხვა საჭირო რესურსის განვითარების, მათ შორის, შეფასების ინსტრუმენტების დანერგვის გზით განათლების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყანაში. ამ მიზნით, 2014-2015 წლებში MAC Georgia-ს მიერ განხორციელდა ინტელექტის ერთ-ერთი ტესტის ადაპტირება საქართველოს 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში. აღნიშნული ტესტი უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს.

ამ ეტაპზე, მიმდინარეებს შეფასების ახალი ინსტრუმენტის – „მულენი – ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალა“ /Mullen Scales of Early Learning – MSEL/ ადაპტირება.

ინსტრუმენტის შერჩევა განხორციელდა ქართველი და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. ის სწრაფად და სანდოობის მაღალი ხარისხით აფასებს დაბადებიდან 68 თვემდე ასაკის ბავშვების სწავლისა და განვითარების უნარებს შემდეგ სფეროებში: ენა-მეტყველება, მოტორიკა და შემეცნება.

ორგანიზაციას კვლევის განხორციელებაში ექსპერტულ მხარდაჭერას უწევს მიჩიგანის უნივერსიტეტი. ტესტის ქართულ ენაზე ადაპტირების პროცესში მონაწილება მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულმა ექსპერტებმაც.

ინსტრუმენტის ადაპტირების პირველ ეტაპზე განხორციელდა პილოტური ფაზა თბილისისა და რამდენიმე მუნიციპალიტეტის (მცხეთა, ბოლნისი, თერჯოლა, თელავი) სკოლამდელ დაწესებულებებში; ადაპტირების ფარგლებში 2-დან 6 წლამდე ასაკის 300-მდე ბავშვის სწავლისა და განვითარების უნარები შეფასდა. პროცესი მშობლების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე წარიმართა, შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების კონფიდენციალობის სრული დაცვით.

მეორე ეტაპის ჩატარება, პანდემიის გამო, დროებით შეჩერდა, თუმცა, 2022 წლის დეკემბრიდან განახლდა და მთელი საქართველოს მასშტაბით, 2-დან 6 წლამდე ასაკის 1100 ბავშვის სწავლისა და განვითარების უნარების შეფასებას გულისხმობს.

MAC Georgia კვლევის პროცესის პარალელურად, მუშაობს სამომავლოდ ინსტრუმენტის გამოყენების

არეალზე და მისი სათანადოდ გამოყენების საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე.

მშობლის სკივრი

„მშობლის სკივრი“ MAC Georgia-ს მიერ პანდემიის პერიოდში შექმილი Facebook პლატფორმაა, რომლის მეშვეობით, ყველა ასაკის ბავშვთა მშობლების მხარდაჭერა გახდა შესაძლებელი. პლატფორმა კონსულტირებას უწევს მშობლებს; ქმნის და ავრცელებს მათთვის სანდო ინფორმაციას ბავშვის სწავლისა და განვითარების თავისებურებების, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით.

მშობლებს ინდივიდუალური კონსულტაციის მიღებაც შეუძლიათ MAC Georgia-ს პროფესიონალებისგან: ფსიქოლოგი, ნეიროფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი.

„მშობლის სკივრს“ Facebook-ზე 3 000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს, რომელთა შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრებიც არიან.

„მშობლის სკივრის“ ვიდეო რესურსები და ყოველკვირეული გამოცემის მასალები, რომლებიც ბავშვის განვითარებაზე მიმართული თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების ნაკრებს წარმოადგენს, ყველასთვის ხელმისაწვდომია სრულიად უფასოდ.

საინფორმაციო პორტალი - შეაღე

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის სხვადასხვა მომსახურების შესახებ ინფორმაციის მარტივად მოძიებისა და მიღებისთვის MAC Georgia-მ საინფორმაციო ინტერაქციული პორტალი **„შეაღე“** შექმნა.

პლატფორმაზე განთავსებულია ინფორმაცია საქართველოში არსებული სოციალური, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო და სხვა მომსახურებების, მათ შორის, ბავშვთა ადრეული განვითარებისა და ადრეული ინკლუზიური განათლების შესახებ.

„შეაღე“-ს მეშვეობით, შესაძლებელია მომსახურების მოძიება ასაკის, რეგიონისა და მომსახურების ტიპის მიხედვით. „შეაღე“-ზე განთავსებულია სანდო და სასარგებლო საინფორმაციო რესურსები.

სტატიაზე მუშაობდნენ MAC Georgia-ს
წარმომადგენლები:
ნინო მიქაია, ცირა ბარქაია,
დანიკა სტაუტი და **ჯერემი მასჭიდი**

MAC Georgia-ს საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციით დაინტერესების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ელექტრონულ ფოსტაზე:

mac_info@macgeorgia.org

ან მოგვწერეთ ჩვენს **ფეისბუქ გვერდზე**.

ფიზიკური გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში

ხათუნა ბოლქვაძე
დაბა ხულოს საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი

დაბა ხულოს საბავშვო ბაღში 2021 წლიდან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გაეროს ბავშთა ფონდის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ადრეული და სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა პრაქტიკოსებისა და მენეჯერების პროფესიული განვითარების გზით''. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ცენტრის ქოუჩებთან და მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, დაიგეგმა საბავშვო ბაღის 2-3-წლიანი ასაკობრივი ჯგუფის (ბაგა) ფიზიკურ გარემოში ცვლილებების განხორციელება, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ალბათ იკითხავთ, რატომ ბაგის ჯგუფი? იმიტომ, რომ ამ ჯგუფშია ყველაზე მეტი გამოწვევა და სწორედ ამ გამოწვევებზე ვისაუბრებთ:

1. საგანმანათლებლო რესურსების სიმწირე
2. რესურსების ასაკთან შეუსაბამობა
3. შეუსაბამო ფიზიკური გარემო
4. ბაგის ბავშვების ასაკობრივი საჭიროებების უგულებელყოფა.

2-3-წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი ყველაზე მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ჯგუფია თუ განვითარების თავისებურებებს გავითვალისწინებთ. თუმცა, ხშირად, სკოლამდელი განათლების სფეროს თანამშრომლებისთვის ეს მნიშვნელოვნება ყურადღების მიღმა რჩება. ამ ასაკობრივ ჯგუფს სხვა ჯგუფების ჭრილში განიხილავენ. არადა, სწორედ ამ ასაკში თავის ტვინი უფრო სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება. „სამი წლის ასაკისათვის ბავშვის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინის 90%-ის მოცულობას აღწევს" (1) ხშირად, საბავშვო ბაღების პრაქტიკაში, ყურადღება არ ექცევა აღნიშნული პერიოდის ბავშვის ასაკობრივ გამოვლინებებს; მათ განსაკუთრებულ საჭიროებებს; ფიზიკურ, შემეცნებით, ენობრივ და სოციალურ-ემოციურ თავისებურებებს. ხშირად, მათთვის მიწოდებული რესურსი არ შეესაბამება 2-3-წლიანთა ასაკობრივ ჯგუფს. საგანმანათლებლო რესურსების სიის შედგენისას ნაკლებად ვფიქრობთ თუ რა სჭირდება კონკრეტულად ბაგის ჯგუფს. რესურსი ხშირად იმაზე მწირია, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში, თითქოს მაღალი ასაკობრივი ჯგუფი, განვითარების თავლსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია. არადა, განვითარების თავისებურებებს თუ მივყვებით, ბაგაში უფრო უნდა იყოს მრავალფეროვანი გარემო, რესურსები, განსხვავებული სივრცეები. ბაგის ჯგუფებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესახებ ხშირად

არასწორ მოსაზრებებს ვისმენთ. კერძოდ, რომ არ არის საჭირო სათამაშო სივრცეების მოწყობა, არ არის საჭირო დაგეგმვა; ხშირია პრაქტიკაში ტელევიზორის გამოყენება, თითქოს, ბავშვები უფრო მშვიდად არიან დღის განმავლობაში, ადვილად ეგუებიან ბაღს და ერთობიან.

ჩვენს ბაღში ყველა ჯგუფს ორი დიდი ოთახი აქვს დათმობილი. სივრცეების მოწყობამდე ბავშვები ერთ ოთახში თამაშობდნენ, მეორე ოთახი კი მხოლოდ კვებისთვის გამოიყენებოდა. ოთახები იყო ძალიან ჭრელი, იდგა მაღალი კარადები, საიდანაც ბავშვები ვერ ახერხებდნენ სასურველი სათამაშოების აღებას და ძირითადად უფროსს სთხოვდნენ დახმარებას.

დღეს არსებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ფიზიკურ გარემოს უდიდესი როლი აკისრია ბავშვის განვითარებაში. გარემო განსაზღვრავს ბავშვის განწყობას, მოტივაციას, ჩართულობას. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მრავალფეროვანი რესურსი და ბავშვზე მორგებული ფიზიკური გარემო, რომელიც უბიძგებს მას ამ გარემოს შესწავლის, საკუთარი შესაძლებლობების ამოქმედებისა და ავტონომიურობის გამოვლენისკენ.

ბაგის ჯგუფში გამოიყო შემდეგი სივრცეები: სენსორული, მოტორული თამაშებისთვის, ხელოვნების, სამაგიდო, კონსტრუქციის, წიგნიერებისა და დრამატული თამაშების. განახლებულმა ფიზიკურმა გარემომ – ახალმა ინვენტარმა და გამოყოფილმა სივცეებმა ბავშვებს ოჯახური გარემოს, სიმყუდროვის განცდა გაუჩინა და საბავშვო ბაღთან ადაპტაციის პროცესი გაუადვილა. აშკარად ჩანს, რომ აღნიშნულ სივრცეში ბავშვები თავს მყუდროდ, ბედნიერად და კომფორტულად გრძნობენ. ჯგუფში შევქმენით საოჯახო ფოტოების კუთხე. ბავშვები ამ კუთხეს რომ ჩაუვლიან, სიხარულით უყურებენ თავიანთ ფოტოებს, იწყებენ საუბარს: ეს დედიკოა, ეს მამიკო, აი მეც. ზოგი ხელითაც ეხება და იღიმის. ეს სივრცე ბავშვებისთვის სახლთან ასოცირდება, რადგან აქაც შეუძლიათ საკუთარი მშობლების დანახვა – მათი ფოტოების დათვალიერება.



ახალი ავეჯი ბავშვების შესაბამისი ზომისაა, რაც მათ დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას აძლევს; ახლა უკვე შეუძლიათ ნებისმიერი ნივთის დამოუკიდებლად აღება და თამაშის შემდეგ უკან დაბრუნება.

მოკლედ შევეხებით თითოეული სივრცის დანიშნულებას და იმას თუ როგორ შეცვალა იქ განთავსებულმა მასალებმა ბავშვების თამაში.

სენსორული სივრცე

ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ, გამოსცადონ თავიანთი შეგრძნებები, შეეხონ სხვადასხვა ტიპის ზედაპირს, შეიგრძნონ სხვადასხვა სურნელი, დააკვირდნენ ჩრდილების თამაშს და სხვ..

ეს არის ყველაზე მეტად სასურველი სივრცე მათთვის. იმდენად უყვართ ქვიშით თამაში, რომ შეუძლიათ მთელი დღეც კი გაატარონ აქ. ბავშვები თხრიან ნიჩბებით ქვიშას, ყრიან ძაბრებში, ჭიქებში. მოსწონთ ქვიშის გადაყრა ჭიქიდან ჭიქაში, ზოგი უბრალოდ ხელებით ყრის... მალავენ ცხოველებს და შემდეგ პოულობენ. აკეთებენ გზებს და ატარებენ პატარა მანქანებს ზედ. ქვიშას საცერში ცრიან.

სენსორული დაფაც უყვართ, განსაკუთრებით ხავერდოვან ზედაპირზე შეხება და ზარის დარეკვა მოსწონთ. სიამოვნებთ სხვადასხვა ფორმისა და ფერის ფიგურის ჩასმა შესაბამის ადგილზე, ბურთების ჩაყრა მილებში. როცა ამჩნევენ, რომ მოზრდილი ბურთი არ ჩადის ვიწრო მილში, ცდილობენ განიერი მილი მოძებნონ რომ ბურთი შიგ ჩააგდონ ან ბურთი შეცვალონ მილის ზომის მიხედვით.

სილიკონის ფორმაში გაყინულ წყალს ეხებიან და აღმოაჩენენ, რომ სახვადასხვა ფერისა და ფორმისაა. ზოგში ყვავილებია გაყინული; უკვირთ, როგორ გაჩნდა ყვავილი ყინულში; უკვირთ, როგორ დნება წყალი.

ბავშვებში დიდ ინტერესს იწვევს სარკის მაგიდა. აქ შეუძლიათ დახატონ მინაზე რაიმე და დააკვირდნენ. ჩაიხედონ და აღმოაჩინონ, რომ თვითონ არიან. დააწყონ ზედ სათამაშოები და დააკვირდნენ ჩრდილებს.

სივრცე მოტორული თამაშებისთვის

ეს არის ყველაზე აქტიური და ხმაურიანი სივრცე. ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის მოსახერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო ინვენტარი მთელ რიგ ემოციებს იწვევს ბავშვებში. ბევრი მათგანის მშობელი ვერ ახერხებს შვილის სასრიალოდ პარკში გაყვანას, ამიტომ ეს სივრცე ავსებს ამ დანაკლისს. ბავშვებს შეუძლიათ, დამოუკიდებლად ავიდნენ კიბეზე და ჩამოსრიალდნენ, მოსწონთ სასრიალოს მხრიდან ხოხვით ასვლა და

კიბიდან ჩამოსვლა. ხშირად სასრიალოზე მანქანები და სათამაშო ცხოველებიც აჰყავთ, შემდეგ კი მათაც ჩამოასრიალებენ ხოლმე.

ბავშვებს ძალიან მოსწონთ აიწონა-დაიწონაზე დაჯდომა, საკუთარი სხეულით ცდილობენ გადაწონონ მეორე მხარე. თუ ამ ინვენტარს გადავატრიალებთ, მისი გამოყენება კიბის ფუნქციითაც შეიძლება.

პატარები სიამოვნებით ძვრებიან საძრომიალოში, შიგნით ჯდებიან და თამაშობენ სათამაშოებით. ზოგჯერ თავს გამოყოფენ და „ჭიტას“ იძახიან, ვითომ დამალულები იყვნენ.

ხელოვნების სივრცე

ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ, შემოქმედებითი აქტივობებით დაკავდნენ – ხატონ, ძერწონ, მოსინჯონ სხვადასხვა სამხატვრო ბუნებრივი მეორადი მასალა.

ამ სივრცეში ბავშვებს აქვთ სრული მრავალფეროვნება. შეუძლიათ ხატონ ფურცლებზე, დაფაზე, დიდი ზომის ფორმატებზე, კედელზე. ძალიან მოსწონთ მოლბერტზე ცარცით, მარკერებით და საღებავებით ხატვა. ავლებენ ხაზებს, ჯღაბნიან და სიამოვნებას იღებენ, როცა თავისი ხელით შლიან. პლასტილინისგან აკეთებენ ბურთებს, ძეხვებს; ზოგი თვითონ არბილებს, ზოგი კი მასწავლებელს სთხოვს დარბილებას და ამით დასახმარებლად სხვის მოხმობას სწავლობს. ბავშვები თამაშობენ და ამ პროცესით სიამოვნებას იღებენ. ჩვენც გვიხარია, რადგან ვიცით, რომ ხალისისა და შემოქმედებითობის გარდა, მათი წერისა და ენობრივი უნარების განვითარებასაც ვუწყობთ ხელს.

სამაგიდო თამაშების სივრცე

ეს არის ადგილი, სადაც ბავშვებს მათემატიკური უნარების, ნატიფი მოტორიკის განვითარების საშუ-

ალება აქვთ. აქ ისინი ითვლიან, ადარებენ საგნებს ერთმანეთს, ზომავენ და ა.შ.. ძალიან უყვართ ფაზლების აწყობა, როდესაც დაფაზე არის ცარიელი ადგილი გარკვეული ფორმის და შიგნით უნდა მოვათავსონ შესაბამისი ფიგურა. გვაქვს „მემო ბარათები“, მაგ.: იღებენ კურდღლის ბარათებს და უნდა მოძებნონ მსგავსი ბარათი, რომელზეც ისეთივე კურდღელია გამოსახული. მოსწონთ ადამიანის ფორმის ფაზლის აწყობა, რომელზეც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან გამოსახული.

ძალიან მოსწონთ, ასევე, მძივების ასხმა თასმებზე; ცდილობენ, სწორად დაიჭირონ მძივი, რომ თასმა გაუყარონ; ამზადებენ თავისთვის გვირგვინებს და ყელსაბამებს. მართალია ჯერ ერთად თამაში არ გამოსდით, მაგრამ საერთო ინტერესების მქონე ბავშვები უკვე პოულობენ ერთმანეთს.

ჯრამატული თამაშების სივრცე

ამ სივრცეში ვიცით, რომ ბავშვები წარმოსახვით, როლურ თამაშებს თამაშობენ, მაგ.: ექიმობანას, ბანკობანას, პოლიციელობანას, სახლობანას და სხვა. ჩვენს ბავშვებს უკვე მოსწონთ სამზარეულოში თამაში – ზოგი ხილ-ბოსტნეულს რეცხავს და ჭრის, ზოგი გაზქურასთან ტრიალებს და საჭმელს ამზადებს, თან ჭურჭელს რეცხავს. მომზადებულ საჭმელს ხშირად მოგვართმევენ ყავასთან ერთად და ღიმილიანი სახით ელოდებიან ჩვენს რეაქციას.

ამ სივრცის მოწყობაში ყველა თანამშრომელი ჩავერთეთ. ყველას აღმოგვაჩნდა სახლში საბავშვო ტანსაცმელი, სამზარეულოს ინვენტარი, საოჯახო ნივთები, რომლებსაც ადვილად შეველიეთ; სწრაფად შევაგროვეთ ყველაფერი და სივრცეც მოვაწყვეთ. პატარებმა კი ახალი ფუნქცია შესძინეს თითოეულ ნივთს.

აქვე გვაქვს მუსიკალური ინსტრუმენტებიც. ერთ-ერთ ბიჭს განსაკუთრებით უყვარს გიტარაზე დაკვრა და სიმღერა; რასაც არ უნდა აკეთებდეს, თან მღერის.

ძალიან აქტუალური თამაშია დედაშვილობანა. საკუთარი მშობლების საქციელი, სიტყვები, ჟესტები გადმოაქვთ ბავშვებს თოჯინებზე – უცვლიან, აჭმევენ, აცმევენ, ასეირნებენ, უმღერიან და აძინებენ.

წიგნიერების სივრცე

ამ სივრცეში ბავშვებს წიგნების დათვალიერების, წერითი უნარების განვითარების საშუალება აქვთ.



ეს ჯგუფში გამოკვეთილად მყუდრო ადგილია. განათება და ფარდები განსაკუთრებულ ესთეტიკას ქმნის. ბავშვებს უყვართ აქ თავისთვის განმარტოებით ჯდომაც; ზოგი სახლიდან წამოღებული სათამაშოთი თამაშობს, ზოგი კი უბრალოდ იღებს წიგნს და იწყებს დათვალიერებას. უფროსი ამ დროს მიდის, ჯდება ბავშვის გვერდით და უკითხავს წიგნს; თუ წიგნი მხოლოდ დასურათებულია, ერთად თხზავენ ამბავს.

კონსტრუქციული სივრცე

ამ სივრცეში ბავშვებს შეუძლიათ, ააშენონ სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, გამოიყენონ როგორც ხის კუბურები, ასევე მცირე ზომის სათამაშოები კონსტრუქციებისა და კომპოზიციების ასაწყობად.

აქ ბავშვები უფრო ხშირად თამაშობენ ცხოველებით. ხელოვნურ ბალახზე კუბურებისგან აშენებენ გზებს, სახლებს და ზედ ატარებენ ცხოველებს. მოს-



წონთ პირამიდის აწყობა და ამ პროცესზე სარკეში დაკვირვება. ზოგი პირამიდის რგოლებს კუბურებთან ერთად იყენებს კოშკების ასაშენებლად. ისინი კონკრეტულ სათამაშოს სრულიად განსხვავებულ ფუნქციებს ანიჭებენ.

ამ სტატიაში შევეცადე, მოკლედ გამეზიარებინა თქვენთვის საკუთარი გამოცდილება, აღმეწერა, თუ როგორი ტიპის რესურსები და საქმიანობები არის მომხიბვლელი 2-3-წლიანი ბავშვებისთვის და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობა იმ პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად, რაც მათ აქვთ. სხვა შემთხვევაში, მათი განვითარების შესაძლებლობას ამ ასაკში უბრალოდ დავკარგავთ. მეცნიერების აზრით, ადამიანის ტვინი მუშაობს პრინციპით – „გამოიყენე, თორემ დაკარგავ“ (2).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადრეული ინკლუზიური განათლება. 2018.
2. ე. კანდელაკი, ნ. ყავლაშვილი, მ. ხერხეულიძე – (2018) ადრეული ასაკის ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგი და მშობლის კონსულტირება. გაეროს ბავშვთა ფონდი.

პრაქტიკით სწავლების მნიშვნელობა ადრეულ განათლებაში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2021 წლიდან აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს **„ადრეული და სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, პრაქტიკოსებისა და მენეჯერების პროფესიული განვითარების გზით“**. პროექტი დაფინანსებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ.

ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში შერჩეულ თითო საპილოტე საბავშვო ბაღში ტარდება პროფესიული განვითარების სხვადასხვა ტრენინგი, თუმცა ბაღების თანამშრომელთა განვითარების ძირითად გზად არჩეულია პრაქტიკით სწავლების გზა – ჯგუფურ სუპერვიზიაზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით სწავლასა და პრობლემების ერთად გადაჭრას უწყობს ხელს.

ჯგუფური სუპერვიზიის უპირატესობა არის ის, რომ პრაქტიკოსებს შეუძლიათ ერთმანეთის მხარდაჭერა; ამ გზით მათ შორის უშუალო ურთიერთობები მყარდება და უმჯობესდება გუნდური მუშაობა. ეს ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდას აჩენს და კომუნიკაციას აუმჯობესებს. ჯგუფური სუპერვიზია არის პროფესიული სწავლების უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესი, რომელიც ბაღის თანამშრომლებს ეხმარება პრაქტიკის განვითარებაში (Louis, 2017).

კვლევები გვიჩვენებს, რომ მაღალკვალიფიციური და შესაბამისი მომზადების მქონე პერსონალი ზრდის განათლებისა და ზრუნვის იმ ხარისხს, რომელიც მიეწოდებათ ბავშვებს ადრეულ წლებში. „პერსონალსა და ბავშვებს შორის საუკეთესო თანაფარდობას მივყავართ ხარისხის გაუმჯობესებამდე, თუმცა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და მათი სწავლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია“ (Melhuish, 2019) .

გთავაზობთ რამდენიმე ბაღის აღმზრდელის რეფლექსიულ ჩანაწერს, რომელშიც განხილულია პრაქტიკით სწავლების მნიშვნელობა და შედეგები; ისინი გვიზიარებენ ცვლილებებს მათ პრაქტიკაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მადლობას უხდის თითოეულ მათგანს გამოცდილების გაზიარებისთვის და მათთან მომუშავე სპეციალისტებს, ნინო ჯიჯავაძესა და თამარ საღინაძეს, გულისხმიერი მუშაობისთვის.

ლეიზა ბერიძე

ბათუმის 34-ე საბავშვო ბაღის
4-5-წლიანთა ჯგუფის აღმზრდელი

ღია მასალების გამოყენება

მას მერე, რაც სწავლის პროცესში ჩავებით, მე და ჩემმა კოლეგამ, ხატია კონცელიძემ, გადავწყვიტეთ, რომ ღია მასალები შეგვეტანა ჯგუფში. ქოუჩინგის გავლის შემდეგ გავიგეთ თუ რა მნიშვნელოვანი იყო ბავშვებისთვის ღია მასალებით თამაში. თეორია ღია მასალების შესახებ 1971 წელს ჩამოაყალიბა არქიტექტორმა საიმონ ნიკოლსონმა. თავის სტატიაში ნიკოლსონი ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანს შეუძლია იყოს შემოქმედებითი და გამომგონებელი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბავშვებში, როდესაც ისინი თამაშის დროს შემოქმედებითად იყენებენ ღია მასალებს. ამისათვის კი მათ სჭირდებათ ისეთი გარემო, სადაც ბევრი ღია მასალაა. თავდაპირველად ჯგუფში შევიტანეთ ქვები, ნიჟარები, მცირე ზომის ხის ჯოხები და სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფოთლები. ჩვენთვისაც გამოწვევა იყო ეს და არ ვიცოდით, როგორ წარიმართებოდა საგანმანათლებლო პროცესი. თუმცა ბავშვებში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ღია მასალებმა და დაიწყეს მათი აქტიური გამოყენება.

ამასობაში მივხვდით, რომ ღია მასალები მართლაც ადვილად ხელმისაწვდომია და მისი გამოყენება შეუძლია ყველას.

ბავშვებმა ბუნებრივი მასალებისგან დაამზადეს სახატავი ფუნჯები, რასაც შემდეგ უკვე ხელოვნების ცენტრში იყენებდნენ. ასევე, განსხვავებული სახით

გამოიყენეს საკვები პროდუქტები—დახატეს ბროწეულის წვენით, სტაფილოს, ჭარხლის წვენით და კვერცხის გულითაც კი. ამ ყველა სიახლეს ბავშვები ჩვეულებრივ იღებდნენ და ყოველ დღე ელოდნენ ჩვენგან ახალ-ახალ „პროვოკაციებს“. სიტყვა პროვოკაცია პირველად ტრენინგის მსვლელობის დროს გავიგეთ. ჩვენთვის პროვოკაციაა, როცა ბავშვებს ჯგუფში, რომელიმე ცენტრში, ვახვედრებთ რესურსს, ისინი კი ამ რესურსს თავისი ფანტაზიისა და სურვილისამებრ იყენებენ. მაგ.: ხელოვნების ცენტრში დავახვედრებთ სქელ მუყაოს ქაღალდს, საქსოვ ძაფებს, ფოთლებს, ღილებს, მაკრატელსა და წებოს.

საკუთარმა პრაქტიკამაც დაგვანახა, რომ ბავშვებს, მართლაც, უფრო მეტად მოსწონთ და უფრო ხანგრძლივად შეუძლიათ თამაში ღია მასალებით, ვიდრე ძვირადღირებული სათამაშოებით, რადგან ღია მასალებით თამაში უფრო მარტივია და მათი მრავალმხრივ გამოყენებაა შესაძლებელი. იმაშიც დავრწმუნდით, რომ ღია მასალებით თამაში ხელს უწყობს ბავშვებში სხვადასხვა უნარის განვითარებას.

ჩვენთვის ეს იყო სტიმულის მომცემი და ვცდილობთ, უფრო განსხვავებული ღია მასალები მოვუმზადოთ პატარებს და საინტერესო პროვოკაციები დავახვედროთ ჯგუფში. ახლო მომავალში ვაპირებთ ბაღის ეზოში ცენტრების მოწყობას, სადაც უფრო მრავალფეროვან ღია მასალებს შევთავაზებთ ბავშვებს. ეს შეიძლება იყოს მანქანის საბურავები, ხის დიდი მორები, ბამბუკის ჯოხები, ხის დიდი ზომის დაფები, ტალახის სამზარეულო და სხვა.

მირანდა სურმანიძე
ბათუმის N21 ბაღის უფროსი აღმზრდელი

პროექტის მეთოდი ადრეულ განათლებაში

ბათუმის N34 საბავშვო ბაღში მუშაობისას ჩავერთე „ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაშის“ პრაქტიკაში დანერგვის პროგრამაში; ჯერ გავიარე ტრენინგი, შემდეგ კი მიღებული ცოდნის ჯგუფში გადატანაზე ქოუჩთან ერთად ვმუშაობდით მე და ჩემი კოლეგა, ლია რიჟვაძე.

პროექტის მეთოდის გამოყენებამ ძალიან დამაინტერესა, რადგან პროცესი საკითხის უფრო სიღრმისეულ კვლევას გულისხმობდა და საკვლევი ობიექტიც ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით უნდა შეგვერჩია.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საკვლევი თემისა და მის შესახებ კვლევითი აქტივობების დაგეგმვაში თავად ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას.

ვიმუშავეთ ორ პროექტზე: „მანქანა“ და „პიცა“. მუშაობისას ახალი და კარგი გამოცდილება იყო ბავშვების შეკითხვების პატარა ფურცლებზე ჩაწერა და სტენდზე ჩამოკიდება.

ამ კითხვებზე პასუხებს ვიღებთ თანდათან, ჯგუფში მოწყობილ შესაბამის აქტივობებზე დაკვირვებით ან ექსკურსიებზე მიღებული გამოცდილებით.

პროექტის მეთოდზე მუშაობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მეთოდი ბავშვებს უღვივებს ინტერესს; ასწავლის დეტალებზე დაკვირვებას, ყურადღების კონცენტრირებას; უყალიბებს დაგეგმვისა და შემდგომი განხორციელების უნარს. ასეთი დასკვნის საფუძველი მოგვცა იმან, რომ პროექტის მესამე ფაზაში ბავშვებმა თავად წამოაყენეს იდეები თუ რას გააკეთებდნენ, როგორ გამოიყენებდნენ მიღებულ გა-მოცდილებას



და ვისთვის გაზიარებას ისურვებდნენ. პროექტის ბოლოს ბავშვებმა დაგეგმეს მუყაოს ყუთისგან მანქანის დამზადება. ამოვბეჭდეთ მანქანის დეტალები – საჭე, საბურავები და შევუდექით კეთებას. პატარებმა გადაწყვიტეს, იატაკზე მოეწყოთ გზის იმიტაცია, რისთვისაც ჟატის ქაღალდი და ქაღალდის წებო გამოიყენეს. მზადების პროცესში ერთმანეთს აწვდიდნენ იდეებს, ასე გაჩნდა, მაგალითად, შუქნიშნის საჭიროების იდეა. შემდეგ კი მოაწყვეს დრამატული თამაში – გაერთნენ და იხალისეს.

აღნიშნულ მეთოდზე მუშაობისას ჩვენთვის გამოწვევა იყო რესურსი, რომელიც საჭიროა თემის კვლევისას. კარგი იქნება, თუ ბაღს ექნება საკუთარი ფინანსური წყარო, რომელსაც გამოიყენებს ასეთ დროს, თუნდაც ექსკურსიის ტრანსპორტის ხარჯის დასაფარად.

მას შემდეგ, რაც ბაღი შევიცვალე, უკვე ახალ კოლეგებთან ვცდილობ ჩემი გამოცდილების გაზიარებას, რათა მათაც სცადონ ამ მეთოდით მუშაობა.

ირინა შარიძაძე

ქობულეთის N6 საბავშვო ბაღის აღმზრდელი

ცვლილებები ჩემს ბაღში



სამუშაო შეხვედრების დროს აღმოვაჩინე, რომ გარემო განსაზღვრავს ბავშვის განწყობას, მოტივაციას; სწორედ გარემო წაახალისებს ბავშვს, ჩაერთოს სხვადასხვა საქმიანობაში. ასევე, გავაანალიზე, რომ მდიდარი და მხარდამჭერი გარემო უწყობს ხელს ბავშვს, იყოს მკვლევარი, გამომგონებელი და პრობლემების გადამჭრელი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანი გახდა ჯერ ჯგუფის ოთახი და შემდეგ ეზო მოგვეწყო ისე, რომ პატარებს სხვადასხვა თამაში ეთამაშათ; როგორც თეორიიდან გავიგეთ, ასე მათ ჰოლისტურ/მრავალმხრივ განვითარებას შევუწყობდით ხელს. ჯგუფში მოვაწყვეთ: დრამატული, ხელოვნების, კუბურების, სენსორული, სამაგიდო და წიგნიერების ცენტრები.

უნდა აღვნიშნო რომ, ეს სივრცეები ადრეც გვქონდა ჯგუფში, მაგრამ მივხვდი, რომ მათ მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების დროს, სხვა საინტერესო აღმოჩენებთან ერთად, გავიგე, რომ სივრცეების მოსაწყობმა მასალამ ბავშვების ინტერესი უნდა გამოიწვიოს, ცნობისმოყვარეობა გაუღვიძოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წაახალისოს, რაც მათ შემოქმედებითობას და სოციალიზაციას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, რესურსები გა-

ვამრავალფეროვნეთ ღია, მეორადი, ბუნებრივი მასალებით: ბოთლის სახურავებით, კენჭებით, მუყაოს ყუთებით, მცენარეებით, ხის პატარა მორებით, ქილებით და სხვ.. შეცვლილმა გარემომ სრულიად შეცვალა ბავშვების თამაშიც.

ჯგუფის შემდეგ მოვაწყვეთ სამასწავლებლო, რათა გვქონოდა სივრცე, სადაც, შეძლებისდაგვარად, ერთად განვიხილავდით სხვადასხვა საკითხს ან მარტო ვიმუშავებდით დოკუმენტაციაზე, რომ სახლში აღარ გვეკეთებინა ეს საქმე.

შევქმენთ პატარა ბიბლიოთეკა, სადაც დროდადრო ბავშვების მცირე ჯგუფები ჩაგვყავს. იმავდროულად, ბავშვს შეუძლია, მშობელთან ერთად გაიტანოს წიგნი სახლში წასაკითხად. ამით, ერთი მხრივ, წიგნების კითხვას შევაყვარებთ პატარებს, მეორე მხრივ კი, ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობას შევუწყობთ ხელს.

გადავედით ეზოს მოწყობაზეც, რადგან აღმოვაჩინეთ, რომ ეზო ისევე უნდა იძლეოდეს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას, როგორც ჯგუფის ოთახები. მოვაწყვეთ: საქვიშე, დრამატული სივრცე, წყნარი სივრცე ტოტებისგან, ხელოვნების სივრცე და მოედანი მოძრავი თამაშებისთვის. თუმცა ვხვდებით, რომ კიდევ მეტის გაკეთება შეიძლება და მშობლებთან ერთად ვფიქრობთ სიახლეების შეტანაზე.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ პროცესმა მომცა სტიმული და გამბედაობა, რომ წელს პირველად გამეყვანა ბავშვები ბაღის გარეთ. მშობლებთან ერთად მოვაწყვეთ პატარა ექსურსია ბაღის ახლოს მდებარე „კვლევითი ინსტიტუტის“ ტერიტორიაზე. ვნახეთ სხვადასხვა სახეობის ნარგავები, დავესწარით ხორბლის ჩათესვის პროცესს და პატარებმა ამ ყველაფერზე გააკეთეს ჩანახატები. ჩანახატები დაეხმარა ბავშვებს გარემოზე დაკვირვებასა და დეტალებზე კონცენტრირებაში ასევე, გარემოსთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაში. ძალიან ემოციური იყო ეს დღე. „ძალიან კარგი დღე გამოგვივიდა“ — თქვა ერთ-ერთმა პატარამ.

ვფიქრობ, რომ ამ ადგილს აუცილებლად კიდევ ვესტუმრებით, ოღონდ ამას უკვე ბავშვებთან ერთად დავგეგმავთ და გადავალთ პროექტის მეთოდის მოცდის ეტაპზე, რომელიც ასევე ახალია ჩვენთვის.

მაია ფალავანდიშვილი

თბილისის N100 საბავშვო ბაღის აღმზრდელი

სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება

როდესაც პირველად დავიწყე მუშაობა საბავშვო ბაღში, 17 წლის წინ, სხვა მეთოდურ სახელმძღვანელოს ვიყენებდით; ყველა აქტივობას, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩემ მიერ იყო დაგეგმილი, მთელ ჯგუფთან ერთად ვატარებდი.

რამდენიმე წლის წინ დავიწყე *ახალ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამაზე* მუშაობა, შემდეგ *სასკოლო მზაობის პროგრამაზე* და სულ ბოლოს გადავედი *„ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაშის“* დანერგვაზე, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა წინა წლების სახელმძღვანელოებისგან.

ამ პერიოდში, საბედნიეროდ, მქონდა საშუალება ჩავრთულიყავი სხვადასხვა პროფესიული განვითარების პროგრამაში, გამევლო არაერთი ტრენინგი; განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ დახმარებას, რომელსაც ადგილზე, ჩემს ბაღში ვიღებდი სხვადასხვა ექსპერტისგან, რომლებიც მოდიოდნენ, გვაკვირდებოდნენ ჯგუფში, გვაფიქრებდნენ ჩვენს საქმიანობაზე, სიახლეების შეტანაზე; ერთად განვიხილავდით, რა ცვლილებების შეტანა იყო საჭირო ჩემი ბავშვებისთვის ან ჩემთვის.

ასე ნელ-ნელა შევცვალე ჯგუფის გარემო და დავყავი ცენტრებად. ვხედავდი, რომ ბავშვები უფრო ლაღები და ბედნიერები გახდნენ, ირჩევდნენ სასურველ ცენტრსა და მასალას სათამაშოდ. მეც, რა თქმა უნდა, სტიმული მომეცა, რადგან ვხვდებოდი, რომ გარემო თითოეულ ბავშვზე მორგებული ხდებოდა. ისინი აქ თავს კარგად გრძნობდნენ. ამ ცვლილებების გზაზე გამოცდილი ექსპერტის დახმარება იმაშიც გამოიხატებოდა რომ, თავი უსაფრთხოდ მეგრძნო და ნაყოფიერად წარმემართა მუშაობის პროცესი.

შემდგომ ეტაპზე მიზნად დავისახე, დამეწყო სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება ჯგუფში; ეს ჩემთვის იყო ახალი დიდი გამოწვევა და, იმავდროულად, გამოცდილებაც. შევეჭიდე რთულსა და მნიშვნელოვან საქმეს, რადგან მაინტერესებდა, როგორ გავართმევდი თავს ახალ გამოწვევებს. ეს არ იყო კონკრეტულ ბავშვთან სამუშაო,



ეს იყო მთელ ჯგუფთან დასანერგი და განსახორციელებელი მიდგომა. ვიყენებდი ვიზუალურ და ილუსტრირებულ მასალებს; ვეცნობოდი იმ სტრატეგიებს, რომლებიც ბავშვებთან უნდა გამომეყენებინა, თუნდაც ემოციების გახმოვანება, კუს ტექნიკა ბრაზის სამართავად, კონფლიქტების მოგვარებისთვის მოლაპარაკების წახალისება. ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო: შემცირდა აგ-

რესიული ქცევა; ბავშვებმა დაიწყეს, ჯერ ჩემი დახმარებით, შემდგომ კი დამოუკიდებლად, პრობლემების მოგვარება სიტყვების გამოყენებით.

ამ პროცესებმა შემმატა გამოცდილება და გამაძლიერა ჩემს სფეროში. აღმოვაჩინე, რომ ახალი პროგრამა – „თამაში“ სწორედ იმ საკითხებზე მუშაობას გულისხმობს, რომლის მიხედვით მუშაობასაც მე წლების განმავლობაში ვცდილობდი.

მადლობა ამ შესაძლებლობისთვის ბავშვებს, რომლებიც მაძლიერებენ და პროფესიული განვითარებისთვის სტიმულს მაძლევენ.

ინტერვიუ ქალბატონ ნინო ბენდელიანთან, ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორთან

რა აქტივობები განხორციელდა 2022 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების მიმართულებით?

– 2022 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების მიმართულებით განხორციელდა აქტივობები, რომლებიც დაგვეხმარა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდების პრინციპების დანერგვის პროცესში.

კერძოდ, აღმზრდელთა სრული შემადგენლობა, თანაშემწეები და მუსიკის პედაგოგები, გადავამზადეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აღმრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულით (66 საათი); რის შემდეგაც საშტატო განაკვეთში შევიტანეთ აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია; გაიზარდა მათი შრომის ანაზღაურებაც. სისტემატურად ვზრუნავთ საგანმაანთლებლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე პირების კომპეტენციების ამაღლებაზე.

- საგანმანათლებლო პერსონალისთვის გავითვალისწინეთ მუშაობის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათთვის სამუშაო სივრცეების მოწყობას.
- 2022 წელს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაღი (სულ 11) აღიჭურვა კომპიუტერებით.
- დავნერგეთ ბავშვის ბაღში ჩარიცხვის ელექტრონული რეგისტრაცია.
- გაერთიანების მიერ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტის საფუძველზე, ვატარებთ ფიზიკური გარემოს, საგანმანათლებლო პროცესისა და საგანმანათლებლო რესურსების შიდა მონიტორინგს.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩვენ შერჩეული ვართ იმ ხუთ მუნიციპალიტეტს შორის, რომელშიც ხდება ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაში“ დანერგვა. მიმდინარე წლიდან კი ბორჯომის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილია იმ 3 მუნიციპალიტეტს შორის, რომელშიც მოხდება თანასწორთა მენტორობის მოდელის პილოტირება. საბავშვო ბაღების პრაქტიკოსებს მივაწოდეთ ხარისხიანად დაბეჭდილი სახელმძღვანელოები. პროექტის ფარგლებში ხორციელდება ტრენინგები როგორც პირისპირ, ასევე ონლაინფორმატში; სისტემატურად ვთანამშრომლობთ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

სკოლამდელი განათლების სამმართველოსთან. საბავშვო ბაღებში არსებული ჯგუფებისთვის შევიძინეთ საგანმანათლებლო რესურსები: სათამაშოები და მასალები კვლევისა და აღმოჩენის სივრცეებისთვის.

თუ ხვდებით გამოწვევებს თქვენი საქმიანობის სფეროში? როგორ ძლევთ აღნიშნულ გამოწვევებს?

- საქართველოს კანონის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუხლი 4-ს თანახმად, სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის საყოველთაო, ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტში არის დასახლებული პუნქტები/სოფლები, რომლებშიც არ ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისად, ბავშვებს ვერ ვაწვდით სკოლამდელ განათლებას. ორი საბავშვო ბაღი განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, არ აქვთ ეზო; ერთი საბავშვო ბაღი კი სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში უნივერსალური დიზაინის პრინციპებით მხოლოდ დვირის საბავშვო ბაღია მოწყობილი.
- სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტში შეინიშნება ბავშვების რაოდენობის კლება, რაც გამოწვეულია ემიგრაციით და დემოგრაფიული პრობლემებით.

თქვენი აზრით, თუ გამოირჩევა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები სხვა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისგან? რა განასხვავებს მათ?

- ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის სკოლამდელი განათლება პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აღსანიშნავია მერიის მხრიდან სფეროს სრული მხარდაჭერა ბიუჯეტირების პროცესში, სიახლეებზე მყისიერი რეაგირება; შესაბამისად, მუნიციპალიტეტში დროულად ხდება საჭირო რესურსის მობილიზება და მიწოდება დაწესებულებებისთვის.

რა გეგმები გაქვთ მიმდინარე წელს?

სკოლამდელი განათლების სტანდარტის დასანერგად, ვეცნობით ინფორმაციას თითოეულ ბაღთან დაკავშირებით და, შესაბამისად, საჭიროებების გათვალისწინებით, დავგეგმეთ 2023 წელი.

- დაწესებულებათა მენეჯერებისთვის ჩატარდება ტრენინგები.
- თითოეულ ჯგუფში /სულ 30/ ერთი ადამიანი მაინც გადამზადდება პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებით.
- საბავშვო ბაღების ჯგუფებში განახლდება ავეჯი, აღჭურვილობა და შეივსება განსაზღვრული ტექნიკური მოცემულობის შესაბამისად.
- ვგეგმავთ ტრანსპორტით მომსახურების სერვისის ამოქმედებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას.
- საჭიროების მიხედვით, გადამზადდება ბაღის ტექნიკური პერსონალი. მათთვის ლექცია-სემინარებს ჩაატარებენ დარგის მოწვეული სპეციალისტები.

თუ გაქვთ ინფორმაცია ავტორიზაციის პროცესის შესახებ და როგორ ემზადებით მისთვის?

2023 წლის ყველა დაგეგმილი აქტივობა პირდაპირ კავშირშია ავტორიზაციის პროცესისთვის მზადებასთან; მიმდინარეობს მონიტორინგის ინსტრუმენტების გზამკვლევის დეტალური შესწავლა. დავიწყეთ და ვაგრძელებთ ინფორმაციის შეგროვებას ცალკეული საბავშვო ბაღების საჭიროებების შესახებ. მიღებული ინფორმაცია გვეხმარება საგანმანათლებლო სტანდარტის დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში; არსებული გამოწვევების დადგენაში; მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რეკომენდაციების შემუშავებასა და დანერგვაში.

www.tpdc.ge